# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 2011 წელი.

№216 (6847)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „გამოკვლევებულები“



2

## და „კვერცხები“

## ბიძინა ივანიშვილი, პატრიარქი და საქართველოს პრეზიდენტი 2

## „უზნეობაა – ივანიშვილისგან თან სარგებელს ილებდე და თან რუსეთის აგენტს ეძახდე“ 3

### „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებული ადამიანები პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნას ითხოვენ 2



4

## სახიფათო თამაშები

## „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! ვაი – დამარცხებულთ!“ 5



## რატომ ჩეხენ ხეებს და რატომ თხრიან ორმოებს? 11





4

## კონცერტი ორკესტრისა და მაესტროსთვის

ვითარება

# ბიძინა ივანიშვილი, პატრიარქი და საქართველოს პრეზიდენტი

**მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას დაუჭირა მხარი და საკამათო პროცესის დასრულების იმედიც გამოთქვა, ლოგიკურად გაჩნდა შეკითხვა, რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება ილია მეორის პოზიციას. სკეპტიკური მიდგომის პარალელურად, ექსპერტთა წრეებში პატრიარქის მოწოდებას განიხილავენ შანსად, რომელიც ხელისუფლებას ჩიხიდან გამოსვლის საშუალებას აძლევს.**

**„ბიძინა ივანიშვილი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, იმიტომ რომ ის ქართველია... ყოველი ქართველი ადამიანი, დაბადებულია ის საქართველოში თუ უცხოეთში, რომელიც სულით და ხორცით ქართველია, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე“,** — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა 13 ნოემბერს, სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას და, წუხილთან ერთად, იქვე იმედიც გამოთქვა:




**„ძალიან მაწუხებს, რომ აი ასეთი უბრალო საკითხია და ასეთი არასასურველი კამათი გამოიწვია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მიანიჭებს მას მოქალაქეობას“.**

ცოტა ვინმეს თუ გაუკვირდა ის ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამოესარჩლა. მეტიც, მაგალითად, ანალიტიკოს რამაზ საყვარელიძისთვის გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, ეს რომ არ მომხდარიყო, რადგანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება სამების საკათედრო ტაძრის აშენება. მართალია, პოლიტიკაში მოსვლის მსურველი ბიზნესმენისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხი უკვე, კარგა ხანია პოლიტიკურ ჭრილში განიხილება, მაგრამ რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ პატრიარქს პოლიტიკური ხასიათის განცხადება არ გაუკეთებია:

„პატრიარქს სიჩუმის მორალური უფლება არ ექნებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში მისი მხრიდან მხარდაჭერა ადამიანურად აუცილებელი იქნებოდა. მარტო პოლიტიკა ხომ არ განსაზღვრავს პატრიარქის მოქმედებას; მას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ზნეობის სახელით უწევს ერთან ლაპარაკი“.

რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ პატრიარქი თავის პოზიციას ნებისმიერ ვარიანტში და იმ ფაქტორის გათვალისწინებითაც კი გამოხატავდა, რომ, ხელისუფლების სიჯიუტის შემთხვევაში, შესაძლოა სიტუაცია საკმაოდ დაიძაბოს. ანალიტიკოსის აზრით, საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუკი მოსალოდნელი დაძაბულობის თავიდან აშორებისა და ჩიხიდან გამოსვლის მიზნით, ხელისუფლება კომპრომისულ ნაბიჯს სწორედ პატრიარქის მოწოდების შესაბამისად გადადგამს და ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას დაუბრუნებს. თანაც, საკითხის მიმართ საერთაშორისო ინტერესიდან გამომდინარე, რამაზ საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლება ადრე თუ გვიან მაინც დადგეს ამგვარი კომპრომისის აუცილებლობის წინაშე.

ჩიხიდან გამოსასვლელ გზაზე, რომელიც საქართველოს პატრიარქის განცხადებამ დაანახვა ხელისუფლებას, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძეც ამახვილებს ყურადღებას. ის თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის ანტიკონსტიტუციური აქტის განხორციელების ფონზე, პატრიარქმა სააკაშვილის ხელისუფლებას ხელსაყრელი შანსი მისცა. სხვა საკითხია, როგორ გამოიყენებს ის ამ შანსს:

**„იმისათვის, რომ, ასე ვთქვათ, სახე შეინარჩუნოს, ახლა ხელისუფლებას შეუძლია თქვას, რომ არა, განა მე უკანონოდ მოვიქეცი, არამედ, აი, გავითვალისწინე პატრიარქის მომართვა და ასევე საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილი... შეიძლება კიდევ რაღაც სიტყვები დაამატონ, მაგრამ ამას გააკეთებენ თუ არა, არ ვიცი. მე არ ვარ დარწმუნებული“.**

ექსპერტებისგან განსხვავებით, როგორც უკვე ვთქვით, ბედნიერი დასასრულის სრული რწმენა აქვს ილია მეორეს. გასაკვირი არ არის, რომ მისი იმედი პირადად მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება, რადგანაც ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება, მოქმედ კონსტიტუციაში ჩადებული გამონაკლისის მიხედვით, მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯერჯერობით არ გამოხმაურებია პატრიარქის პოზიციას და, შესაბამისად, უცნობია, თუ რას ფიქრობს პრეზიდენტი სააკაშვილი.

ხოლო რაც შეეხება მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, პატრიარქის პოზიციას ისინი, მართალია, საყურადღებოდ მიიჩნევენ, მაგრამ ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კანონის წინაშე პრივილეგიებით ვერავინ და, მათ შორის, ვერც ბიძინა ივანიშვილი ისარგებლებს. როგორც, მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ნუგზარ წიკლაური აღნიშნავს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას, პატრიარქის განცხადება „მორალურ მანიფესტს“ წარმოადგენს და მას შეხება არ აქვს საკითხის სამართლებრივ მხარესთან, რომლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილს სრულად მოუწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლა. ნუგზარ წიკლაურის აზრით, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შეუწყდა და ამიტომ ადვოკატები ამაოდ ცდილობენ პროცესის მოგებას სასამართლოში, რადგანაც „შანსები ძალიან დაბალია“. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის აზრით, ბიძინა ივანიშვილს ერთადერთი გამოსავალი აქვს:

„თუ ის გადაწყვეტს, რომ მიმართოს თავიდან საქართველოს პრეზიდენტს, რომ აღიდგინოს მოქალაქეობა, ამ შემთხვევაში მისი საკითხი განიხილება ისევე, როგორც განიხილებოდა საქართველოს მოქალაქეობის სხვა ნებისმიერი მსურველის საკითხი“.

ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას ადვოკატები მართლაც ცდილობენ სასამართლოს დახმარებით და სარჩელი შეტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოში; მაგრამ როგორც ადვოკატმა შალვა თადუმაძემ უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ისინი ვერ დაელოდებიან სასამართლო პროცედურას და, პარალელურად, რამდენიმე დღეში მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. რაც შეეხება ვადებს, ადვოკატ ეკა ბესელიას განმარტებით, „მოქალაქეობის მიღების ზოგადი ვადა 3 თვეს შეადგენს, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისთვის ერთი დღეც საკმარისია“.

**ლელა კუნჭულია**
**რადიო „თავისუფლება“**

ერიჯა!

# „გამოკვლევებულები“ და „კვერცხები“

## აქა ამბავი უსაქმურისა და მახათისა, ანუ ნეტავ ვის და ვისთვის გამოჩეკენ „კრუხები“?



**ჭეშმარიტად, როგორც ტატოს მერნის „ქენებას არ აქვს სამძღვარი“, ისევე დაუსაბამო და უსაზღვროა ჩვენი რეფორმატორი ხელისუფლების ფანტაზიაც.**

**და ვიდრე ამის დამადასტურებელ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანდე, ქალბატონ ელენე თევდორაძის ერთი „ფრთიანი “ გამონათქვამი მინდა შეგახსენოთ:**

მისი დეპუტატობისას, ვგონებ, რომელიღაც ოპოზიციონერ პარლამენტარს უთქვამს უმაღლეს კანონმდებელთა ერთ სხდომაზე, — ყველა აქ მსხდომნი უნდა გამოვიკვლიოთ ნარკომანობაზეო.

**— არ არის საჭირო, ჩვენ ისედაც გამოკვლევებულები ვართო!** — კოლეგის ამ წინადადებას ისე აღუშფოთებია ქალბატონი ელენე, რომ, როგორც „ავი ენები“ ამბობენ, აღელვებულს ასო „კ“ „ყ“-უდ გამოუთქვამს.

სწორედ ამ „გამოკვლევებულთა“ ფანტაზიის უსაზღვრობაზე მოგახსენებთ.

**თუ არა სწორედ ამან** (მათთვის ორგანულად დამახასიათებელ სხვა „ნიჭსა“ და „უნარ-თვისებებზე“ ნურაფერს ვიტყვით), **სხვამ რამ შეიძლება აღაფრთოვანოს ადამიანი, მაგალითად, გმირთა მოედანზე წამომართული, სინამდვილეში „იმას“ რომ ჰგავს, იმგვარი პლასტიკატის უაზრობით, რომელსაც, რატომღაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა დიდების მემორიალის პრეტენზია „გაუჩინეს“.**

და აი მათი ამოუწურავ-ამოუხაპავი ფანტაზიის მორიგი ნაყოფიც: **ბათუმში ვინმე ლილი ფანტოცის მიერ „დამდგარებული“ კვერცხები.** მის თბილისურ ანალოგზე კედებია „დასკუპებული“ (ამ „შედევრის“ შემცირებული ვარიანტი თურმე გიგი უგულავას უდგას კაბინეტში და სიმბოლურად გამოხატავს იმ რთულ გზას, რომელიც ქვეყანამ გარდაქმნისას გაიარაძ, ბათუმში კი მათზე „კრუხად“ „შლოპანცები“ „დაუსვამთ“ (აქ ავტორმა, ალბათ, ის გაითვალისწინა, რომ, ჯერ ერთი, პრეზიდენტის არჩევნებისას თბილისში დამარცხებისთვის დედაქალაქსა და დედაქალაქელებზე გულაყრილი სააკაშვილი მეტწილად ბათუმშია, და, მეორეც — ეტყობა, ყური აქვს მოკრული ნანუკას შოუში სააკაშვილის ნათქვამისთვის — სახლში ჩუსტები არ მაქვსო — და ამიტომ „გაუჩალიჩა“ ეს „შლოპანცები“ — პლაჟის ქვა-კენჭებზე ხომ ვერც „ბატინკებით“ იზრახუნებ კაცი და ვერც ფეხშიშველი იასკინკილავებ?ძ.

ისე კი ზუსტი მიგნებაა კვერცხები; **როგორც, ვთქვათ, აისია უდაისოდ წარმოუდგენელი, ან, პირიქით, დაისი არ არსებობს უაისოდ, ისე ვერც „გამოკვლევებულებს“ წარმოიდგენს ადამიანი „უკვერცხებოდ!“**

წარმოდგენასაც თავი რომ დავანებოთ, სიცოცხლის გაგრძელებისთვისაა ორივეს **„ერთად ყოფნა“** საჭირო.

რაკი ამაზე შევთანხმდით, ახლა იმასღა უნდა დაველოდოთ, თუ ვის და ვისთვის გამოჩეკენ „კრუხები“.

თუმცა ვინც და როგორიც არ უნდა იყვნენ „შთამომავლები“, ღმერთმა „კრუხებსვე“ მოახმაროს მშვიდობაში, რადგან ჩვენ უკვე გამოჩეკილი და ხელისუფლებაში მოკალათებული „გამოკვლევებულებითაც“, როგორც იტყვიან, ყელამდე ვართ ბედნიერნი!

**ხოლო თუ შაყირს თავს დავანებებთ და ოდნავ მაინც სერიოზულად ვიტყვით, იმ 160 თუ 170 ათასი ლარით, რომელიც ამ „შედევრის“ შესაქმნელად დაუხარჯავთ, რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლებოდა?!**

**კი შეიძლებოდა, მაგრამ, თუ უსაქმურს მახათში „კვერცხის“ გაყრა ურჩევნია?!**

**ვარია მამალაძე**

„თავისუფალი“ სიტყვა

# „რუსეთის ხმის“ ჟურნალისტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნების გამო სამუშაოდან გაათავისუფლეს

**სახელმწიფო რადიოკომპანია „რუსეთის ხმის“ ხელმძღვანელობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარების გამო, გადაცემა „ექსპერტიზის“ წამყვანი მაქსიმ შალგინი სამუშაოდან გაათავისუფლა . ამის შესახებ „ეხო მასკვი“ იუწყება.**

გადაცემის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ჟურნალისტს შეატყობინეს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მასთან კონტრაქტს წყვეტდა. თავად შალგინის აზრით კი, სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ „თავის გადაცემაში საჯაროდ მიმართა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის“.

შალგინმა თავის მიმართვაში საარჩევნო კომისია და „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ერთ-ერთი კანდიდატის ბიბილოვის მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

ჟურნალისტმა უსაყვედურა მედიაცენტრის ხელმძღვანელს ირინა გაგლოევასაც, რადგან პრესას სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებზე არასწორი მონაცემები მიაწოდა — გამოკითხვის შედეგებით, ყველა კანდიდატის მხარდამჭერთა პროცენტული ჯამი 300%-ზე მეტს შეადგენდა.

ინფორმაცია

# „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებული ადამიანები პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნას ითხოვენ

**„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებული ადამიანები პარლამენტში ოპოზიციური ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრებს შეხვდნენ და საკუთარ პრობლემებზე ესაუბრნენ.**

**„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულები ამბობენ, რომ მათ „ცენტრ-პოინტ“ ჯგუფის დირექტორისაგან ხელმოწერილი შეტყობინება მიიღეს, სადაც აღნიშნულია, რომ თუ 7 დღის განმავლობაში ახალ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ, მაშინ მათთან ძველი ხელშეკრულება შეწყდება.**

**ამასთან, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ დამატების სახით უნდა გადაიხადონ კვადრატულ მეტრზე 100 დოლარი პლუს დღგ გადახდილი თანხის 18%.**

**ჟურნალისტებთან საუბარში დაზარალებული სვეტა მურადიანი აცხადებს, რომ მათი ბინა საავაძის მოედანზე, მერიის ეზოშია, ყველა ვალდებულება შესრულებული აქვს, თანხა ჯერ კიდევ 2006 წელს დაფარული აქვს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ბინა 2007 წელს დამთავრებული სახით ჩაებარებინათ, ახალი ხელშეკრულების გაფორმებას და კვადრატულზე 100 დოლარის გადახდას სთხოვენ.**

*იმ ადამიანთა სიების გამომზეურებამ, რომლებიც ბიზნესმენისგან ქველმოქმედებას საჭიროების მიუხედავად იღებდნენ, საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი დიდსულოვნად შეხვდნენ ამ სიახლეს, მეორენი კი აღშფოთდნენ, როცა სიაში შეძლებულ ადამიანთა გვარები ამოიკითხეს და ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების სიცოცხლის გადარჩენაზე ალაპარაკდნენ, რომლებისთვისაც ეს ფული ფუფუნების კი არა, გადარჩენის წყარო გახდებოდა.*

*საუბარია ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც, თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე, თავადაც შეეძლოთ გაეხსნათ უმწეოთა დახმარების ფონდები, მაგრამ ქველმოქმედების გაწევა არ ისურვეს და პირიქით, ბიძინა ივანიშვილის დახმარებას დაეწაფნენ.*

*მართალია, „ქართუ ჯგუფში" ირწმუნებიან, რომ სიები მათ არ გაუვრცელებიათ, მაგრამ გაჩნდა კატეგორიული კითხვა-შეფასებებიც: ხომ არ იყო ეს ბიზნესმენის მომხრეების შურისძიება ინტელიგენციის იმ ნაწილის მიმართ, ვინც მის ფულს უყოყმანოდ იღებდა, მოქალაქეობრივ პოზიციას კი არად დაგიდევდა.*

*„შუა უნდა გაიკრიფოსო", პირველი ინტერვიუს დროს აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა და, როგორც მოგვიანებით დააკონკრეტა, აქ იგულისხმა ორპირი ხალხი, „ნილბიანები", რომლებიც ოპოზიციონერობას თამაშობენ და ამ დროს მთავრობის მეხოტბენი არიან.*

*საინტერესოა, ხომ არ იყვნენ ეს „შუა გასაკრეფები"-ის ინტელიგენტები, რომლებიც წლების მანძილზე ხელისუფლების მაამებლობასა და ჭეშმარიტების დაცვას შორის არჩევანს პირველის სასარგებლოდ აკეთებდნენ და, არისტოტელეს პერიფრაზით რომ ვთქვათ, ავიწყდებოდათ გამოთქმა — ხელისუფლება (და არა პლატონი) ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასიაო. საიდან გამჟღავნდა ეს კონფიდენციალური სია? ფონდი „ქართუ" ამის მიზეზად საბანკო ამონაწერის ეროვნული ბანკისთვის 2011 წლის 9 ნოემბერს გადაცემას ასახელებს, დაფინანსებულ პირთა სია კი ქართულ მედიაში უმალვე, 10 ნოემბერს გამოქვეყნდა.*

*„ლუსტრაცია", „შინდლერის სია", „სამარცხვინო ბოძი", — ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების მომლოდინე შეძლებული ადამიანების მისამართით შეფასებები მრავალგვარია... უკვე გაირკვა, რომ არც ეს სიებია უნაკლო. კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი თურმე საერთოდ არ იღებდა დახმარებას ბიძინა ივანიშვილისგან, ამ დროს კი სიაში მისი გვარი იკითხებოდა. ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელზე კი 4500 ლარი იყო გაწერილი, მაშინ, როცა ისინი ამ სოლიდური თანხის ნაცვლად ამჟამად 1000 ლარს იღებენ.*

*ექსპერტი გია ხუხაშვილი Presage.tv-სთან საუბარში იმ ადამიანების ზნეობრიობაზე მიუთითებს, რომლებიც დახმარებას ყოველგვარი მოტივაციის გარეშე იღებდნენ.*

# „უზნეობაა – ივანიშვილისგან თან სარგებელს იღებდე და თან რუსეთის აგენტს ეძახდე"

**— ჩვენმა საზოგადოებამ აქამდეც კარგად უწყოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ცალკეულ ადამიანებს ეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, ამ სიების გამოქვეყნებამ რატომ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი?**

— მეც ძალიან გამიკვირდა სიების გამოქვეყნება. უწინარესად გავარკვიე, რომ ეს თავად ბიზნესმენის ინიციატივით არ მომხდარა. საკმაოდ გაურკვეველი მეთოდებით იქნა მოპოვებული ინფორმაცია და მე ვიტყოდი, – გარკვეული მიზნებით. ვიღაცამ ამის გამოყენება მის საწინააღმდეგოდ დააპირა. მიზანიც აბსოლუტურად გასაგები გახდა მას შემდეგ, რაც ამ თემაზე დებატებს ვუსმინეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი არის ქველმოქმედი, რომელიც არასდროს საუბრობდა თავის ქველმოქმედებაზე, პირიქით, სხვებს უკრძალავდა კიდეც ამაზე საუბარს, აკეთებდა სიკეთეს და თავისთვის წყნარად იყო, ახლა კი ვხედავ მცდელობას, რომ ზუსტად ამ მიმართულებით დასვან, პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი და უცნაური კითხვები: ამას რატომ ეხმარებოდა? იმას რატომ უმართავდა ხელს? დიდი ბოდიში რა, როდესაც ვიწყებთ ამის განხილვას, ეს ძალიან არასერიოზულია და ქართულ საზოგადოებაზე დადებითად არ მეტყველებს. თავისთავად, ძალიან ცუდია, რომ ეს ინფორმაცია გამომზეურდა. ხოლო, საზოგადოების მხრიდან იმაზე ლაპარაკი, კონკრეტულად ამა და ამ პიროვნებას ფული რატომ მისცაო, ძალიან ულამაზოა. გული მწყდება იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ პროცესში არიან ჩართულნი. მათ შორის, პატივსაცემი ადამიანებიც არიან. ჭორაობის დონეზე საუბარი და ასეთი ადამიანური დაწვრილმანება ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ადამიანი აკეთებდა კეთილ საქმეს. ახლა თვითონ ვერ დაჯდებოდა და ვერ დაიწყებდა სიის შედგენას. არსებობენ სხვა ადამიანები, რომლებიც, მოთხოვნის შესაბამისად, ვიღაცებს ეხმარებოდნენ. ახლა, თუ ვინმეს მხრიდან, ანუ მიმღებების მხრიდან, რაღაც უსინდისოდ გაკეთდა, ეს მათი სინდისის საკითხია. იმავე ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, თუ ადამიანი ჩემთან მოდის, არ უჭირს და მაინც მთხოვს ფულს, საშუალება თუ მაქვს, თანხას ვაძლევ. და თუ ის მე მატყუებს, ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი. ვალდებული ვარ, თუ მაქვს საშუალება, დახმარების მთხოვნელს დავეხმარო.

**— დასახმარებელთა სიაში მოხვდნენ კიკაბიძე, ასანიძე, ანანიაშვილი...**

— იქ იყო ლაპარაკი კიკაბიძეზე, ასანიძეზე, ანანიაშვილზე და სხვა ადამიანებზე, რომლებსაც ნამდვილად არ ჰქონდათ იმის საჭიროება, ვიღაცისთვის ფული მოეთხოვათ. მაგრამ, თუ ისინი მიდიოდნენ და ამის უფლებას საკუთარ თავს აძლევდნენ, ეს არ გახლავთ ბიძინა ივანიშვილის პრობლემა. ეს არის ამ ადამიანების ზნეობრივი სახე და არა – ბიძინა ივანიშვილის.

**— ანუ სიაში მოსახვედრი კონტინგენტის სოციალურ ფონს არავინ ამოწმებდა და აკმაყოფილებდნენ ყველას, ვინც სათხოვნელად მიდიოდა?**

— რა არის, იცით? თუ ადამიანს არ უჭირდა და მაინც სთხოვდა ბიძინა ივანიშვილს თანხას, ეს მისი პრობლემაა. ვფიქრობ, ეს თემა უნდა დაიხუროს. თუ მაინცდამაინც ვსაუბრობთ ვინმეს შეცდომებზე, ან მორალზე, ისევ და ისევ ამ ადამიანებზე უნდა ვსაუბრობდეთ და არა ბიძინა ივანიშვილზე. ივანიშვილი ეხმარებოდა ყველას, ვინც მას მიმართავდა. ეს არის მთავარი. როდესაც ამ თემას სხვა მიმართულებას აძლევენ, ეს არ არის ღირსეული საქციელი.

**— მაგრამ, რადგანაც საზოგადოების ნაწილში კითხვები გაჩნდა, ალბათ, საინტერესოა მათზე პასუხი.**

— ჩვენ მორალს ვუკითხავთ ადამიანს, რომელიც ქველმოქმედებას ჩადიოდა?! თუ მორალი უნდა წავუკითხოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ მისგან დაუმსახურებლად მიეღოთ რაღაც?



**— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს ერთგვარად ბრძოლის ხერხია ივანიშვილის წინააღმდეგ?**

— ეს არის ბრძოლის ხერხი და ეს არის შავი პიარის კლასიკური ნიმუში, როდესაც ცდილობენ, ჩრდილი მიაყენონ მის უანგარო ქველმოქმედებას. მაგრამ, არა მგონია, ქართული საზოგადოება ამდენად გაუნათლებელი იყოს, ყველაფერს თავისი სახელი არ დაარქვას. უბრალოდ, მწყინს, რომ ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანები ამ იაფფასიან პოლემიკაში ჩაერთვნენ. უნდა დაფიქრდნენ ისინი, როდესაც ამას აკეთებენ და კრიტიკულად უყურებენ ივანიშვილს და არა დავუშვათ, კიკაბიძეს, რომელიც სარგებელს მისგან იღებდა და, როგორც გავიგე, დღემდე იღებს. რამდენადაც ვიცი, მას არ აქვს ამის საჭიროება.

**— თქვენ ახსენეთ ამ ადამიანების მორალური სახე. ამ სიაში ნაციონალებიც არიან, ცნობილი მილიონრებიც.**

— ანანიაშვილი დახმარებას რომ ითხოვს, ძალიან სასაცილოა, რადგან მისი ქმარი ჯერ ბიზნესმენი იყო, ახლა საგარეო საქმეთა მინისტრია. თვითონაც მაინცდამაინც არ უჭირს. საზოგადოებამ ამ ადამიანებს უნდა დაარქვას რეალური სახელი და არა ბიძინა ივანიშვილზე ილაპარაკოს.

**— შეძლებული ადამიანების სიაში მოხვედრა მათთვის სამარცხვინო დაფად, ერთგვარ შინდლერის სიადაც შეფასდა.**

— მე ასე კატეგორიული არ ვიქნებოდი. რა არის, იცით? საზოგადოებამ უნდა მისცეს შეფასება, მაგრამ შინდლერის სია... ძალიან შორს ნუ წავალთ. ეს არის უბრალოდ, მორალური განკითხვის საფუძველი. გახსოვთ ალბათ, ამ ორი თუ სამი წლის წინათ იყო თემა ერთ-ერთი დეპუტატის შესახებ, რომელმაც დახმარება მიიღო ჯანდაცვის სამინისტროდან თავისი მეუღლის საოპერაციოდ. არ დავასახელებ გვარს, მიხვდებით, ვისზეცაა საუბარი. მაშინ ეს სალაპარაკო თემა გახდა. არადა, ეს არის ბიზნესმენი, ძალიან შეძლებული ადამიანი, ოთხი თუ ხუთი ათასი ევრო ითხოვა და ჯანდაცვის სამინისტროდან მიიღო დაფინანსება.

ეს არის მორალური განკითხვის საფუძველი, მაგრამ ძალიანაც არ უნდა „შევდგეთ" ამ ადამიანებს, რადგან, შესაძლოა, მათ რაღაც შეეშალათ, ვერ გაიაზრეს. მათაც უნდა მივცეთ შანსი, ხვალ თუ ზეგ გასწორდნენ, არ უნდა გავაპაროტოთ. ამიტომ არ ვარ განწყობილი, გამოვიდე და ასანიძე და კიკაბიძე, – ვიძახო. ამ ადამიანებს უნდა მივცეთ შანსი, დაფიქრდნენ თავიანთ საქციელზე. საერთოდაც, როგორ იქცევიან, დღეს რას აკეთებენ? რომ ერთი ხელით ივანიშვილისგან სარგებლის მიღება უნდათ და, მეორე მხრივ, რუსეთის აგენტს ეძახიან. ეს უკვე ისეთი უზნეობაა, რომლის იქითაც აღარაფერი აღარაა.

**— ჩვენი საზოგადოების უმეტესობა ღარიბი სოციალური ფენიდანაა. ამ სიების გამომზეურების შემდეგ რა განწყობა დაეუფლებათ ივანიშვილის მიმართ? ბზარი ხომ არ გაუჩნდებათ? საზოგადოება ძალიან კარგად გაიგებს, როცა ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა დოდო ჭიჭინაძეს და სოციალურად დაუცველ სხვა მსახიობებს, მეცნიერებს, მაგრამ - შეძლებულ ადამიანებს?**

— ახლა ცდილობენ, რომ ამ მხრივ რაღაც ჩრდილი მიაყენონ ბიძინა ივანიშვილს. მე ვფიქრობ, ამით არაფერი შეიცვლება. ვინც დაგეგმა ეს სიბინძურე, ახლა ესენი „გაილაღებენ" ცოტა ხანს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ქართულ საზოგადოებას სიცოცხლისუნარიანობა ბევრად მეტი აქვს, ვიდრე ჩვენ გვგონია. ამ ადამიანებს ქართველების შესახებ ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვთ, როდესაც ჰგონიათ, რომ ასეთი სიბინძურით ვიღაცას ზიანს მიაყენებენ. ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით, როგორც არის რეალურად.

**— ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა. ახლა მაინც თუ მოხდება ამ სიების კორექტირება?**

— კორექტირება მოხდება თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამ ადამიანს აქვს პრინციპი და ის არ განსაზღრავს დახმარებას მისდამი ლოიალობის საფუძველზე. მოგიყვანთ ასეთ მაგალითს: მეცნიერებათა აკადემიამ ახლა ანგარიშები გადაიტანა სხვა ბანკში. იმის მიუხედავად, რომ, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს ადამიანურად ეს სწყენოდა, მაინც აგრძელებს ამ ხალხის დაფინანსებას. მას ჰქონდა სრული უფლება, გაბრაზებულიყო და მათთვის დახმარება შეეწყვიტა. მაგრამ ამას არ აკეთებს. ის არ უდგება ადამიანებს მისდამი ლოიალურობის პრინციპით. ზუსტად ეს მის სასარგებლოდ მეტყველებს. მეცნიერებმა მის მიმართ ძალიან ცინიკური დამოკიდებულება აჩვენეს, ძალიან ცუდი დამოკიდებულება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ ხალხთან მიმართებით, მისთვის მთავარია არა საკუთარი პოზიციები და საკუთარი ემოციები, არამედ მას აწუხებს ქართული მეცნიერების ბედი. ამიტომ ამ პროექტზე უარს დღემდე არ ამბობს.

**— მართალია, თქვენ აცხადებთ, რომ ქართული საზოგადოება შეგნებულად აღიქვამს ბიძინა ივანიშვილის მიერ ამ ადამიანების დაფინანსებას, მაგრამ რეალურად, ღარიბი მოსახლეობა შეძლებს, გაგებით მიუდგეს ამ საკითხს?**

— არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, ვიღაც ამ სიბინძურეზე წამოეგოს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ჩვენი მოსახლეობა კი არის ღარიბი, მაგრამ ღირსება არ დაუკარგავს, არც ანალიზის უნარი.

**— შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი ასეთ გაჭირვებულ კატეგორიასაც ეხმარებოდა და ჩვენ არ ვიცით?**

— რა თქმა უნდა, შესაძლოა კი არა, ეხმარებოდა. ის ეხმარებოდა მთლიანად საქართველოს. ახლა, ყველას ინდივიდუალურად ვერ მიუდგებოდა. ერთ ადამიანს, რაც არ უნდა მდიდარი იყოს, არ შეუძლია, ყველას დაეხმაროს. რადგან იცის, რომ მისი რესურსებიც კი არ ეყოფა ამ ყველაფერს, დღეს მისი ამოცანაა სოციალური პრობლემების მოგვარება. ის ცდილობს, შეცვალოს მთლიანად პროცესი, დასაქმდნენ ადამიანები და თავისი შრომით თავად მოიპოვონ სარჩო და არა – მათხოვრულად ფულის დარიგებით. საქართველოს მოსახლეობას ურჩევნია, თავისი შრომით მოიპოვებდეს ღირსეულ შემოსავალს, ვიდრე – მათხოვრულად ვიღაცასთან რიგში დგომით. ბიძინა ივანიშვილს ეს ესმის და ზუსტად ამ პროცესში ჩაერთო. ამისთვის იბრძვის.

**— საინტერესოა, ამ ადამიანებმა დახმარების სათხოვნელად თავად მიმართეს ბიზნესმენს, თუ საკუთარი კეთილი ნებით თავად შეარჩია?**

— რა თქმა უნდა, ამ ადამიანებმა თავად მიმართეს თხოვნით. ეს სხვაგვარად არ ხდება. მას ჰქონდა პროგრამა კულტურის მოღვაწეებზე (სახელფასო დანამატებიძ და მეცნიერებზე. რაც შეეხება ნინო ანანიაშვილს, გიორგი ასანიძეს და სხვებს, რა თქმა უნდა, ეს მათი მიმართვის საფუძველზე მოხდებოდა. მათ რომ არ მიემართათ, ივანიშვილს ხომ ვერ დაესიზმრებოდა?! თანაც, დამერწმუნეთ, ამას პირადად არ აკეთებდა. წარმოიდგინეთ, ახლა, ამხელა მასშტაბის პიროვნება თავად დამჯდარიყო და კორექტირება შეეტანა, ვის დახმარებოდა?! მას ჰყავდა მეურვეთა საბჭო, რომელსაც ჰქონდა ფონდი და, რომელიც ამას განკარგავდა.

**— გამოდის, ენდობოდა ამ ფონდს?**

— რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ყველა კონკრეტული საკითხი ერთმა ადამიანმა გადაწყვიტოს.

**მანანა ნოზაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან

### იუსტიციის სამინისტროს სიურპრიზი

ამ დღეებში იუსტიციის სამინისტრომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით რამდენიმე სიურპრიზი შემოგვთავაზა, რაც, ალბათ, ივანიშვილის გამოჩენას უნდა უკავშირდებოდეს.

**„ალია"**



### შეშის ღუმელების აკრძალვით მთავრობა და „კერძო ბიზნესი" ფულს „შოულობენ"

თუკი შეშის სათბობად გამოყენება აიკრძალა, ხელისუფლებას გაზიფიცირების პროგრამა შესრულებულად ჩაეთვლება და ხალხისგან ამოღებული ფულით ბიუჯეტსაც შეავსებს.

**„რეზონანსი"**

### ალასანია რეფერენდუმს ითხოვს

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება, დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, აუცილებლად რეფერენდუმზე უნდა დადგეს.

**„ახალი თაობა"**

თვალსაზრისი

# სახიფათო თამაშები

**გასულ კვირას გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი, 2011წ.) დაიბეჭდა ინტერვიუ უშიშროების გენერალთან ანზორ მაისურაძესთან, რომელმაც საზოგადოებისთვის ფრიად დამაფიქრებელ საკითხებზე გაამახვილა მკითხველის ყურადღება.**

**როგორც წესი, უშიშროების მაღალჩინოსნები (არა აქვს მნიშვნელობა, მოქმედია იგი თუ თადარიგში მყოფი) ჰაერში არასდროს ისვრიან სიტყვებს. მაინც რას უკავშირდება გენერლის „აღსარება“ და რამდენად იძლევა იგი დაფიქრებისა და თავსმოხვეული ღირებულებების გადაფასების საშუალებას?**

**ამჯერად მხოლოდ იმ აქცენტებზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებელი ქვეყანაში დღეს მიმდინარე მოვლენებთან.**

**ანზორ მაისურაძე** ღიად აფიქსირებს, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარე პროცესები (ცნობილი მიტინგები, 9 აპრილის ტრაგედია, სამოქალაქო ომის ინსპირირება, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, 2007 წლის ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისიძ დაგეგმილი იყო საზღვარგარეთიდან. შოკის მომგვრელია მისი განცხადება: **თვით ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც კი იმართებოდნენ ამერიკიდან და ისინი „იყვნენ თოჯინები იმ დიდ თამაშში“** (თუ გავიხსენებთ ეროვნული მოძრაობის პერიპეტიებს და კომუნისტების მხრიდან მათთვის ხელისუფლების უმტკივნეულოდ გადაბარებას, **მაისურაძის** განცხადება საფუძველს მოკლებული არ ჩანს!).

მართალია, ეს აზრი (საქართველოში მიმდინარე პროცესები უცხოეთიდან რომ იმართებაძ საზოგადოებაში ყოველთვის მუსირებდა, მაგრამ სპეცსამსახურის გენერალმა საბოლოოდ ბეჭედი დაუსვა.

თუ ლოგიკურ ჯაჭვს გავყვებით, სხვა „სიკეთეებთან“ ერთად უცხოეთიდან თავსმოხვეულ „საჩუქრად“ უნდა მივიჩნიოთ ნაწვიმარზე სოკოებივით ამოსული ჭრელაჭრულა პარტიების მოძალებაც, რომლის მთავარი მიზანი დაპირისპირებული ჯგუფების შექმნა და საზოგადოების მარტივ მამრავლებად დაშლა-დანაწევრებაა.

### „დაყავი და იბატონე“



ამ დღეებში ორი პოლიტიკური პარტიის დაფუძნების მოწმენი გავხდით. რიგით პირველი პოლიტიკური პარტია „წინააღმდეგობის მოძრაობაა“, რომელმაც თავი პერმანენტული, მცირემასშტაბიანი აქციებით დაგვამახსოვრა. რა უნდათ და როგორ გაუწევენ წინააღმდეგობას არსებულ ხელისუფლებას და რამდენ წიწილას „დაითვლიან“ მომავალ შემოდგომაზე, ნამდვილად არ ვიცი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პარტიის მიზნები და ამოცანები ზოგადი (თითქმის გაცვეთილი) ტერმინოლოგიებითაა დატვირთული და არაფრით განსხვავდება მათი წინამორბედების დეკლარაციებისგან. პოლიტიკური სუბიექტის მმართველი საბჭოც ნამდვილად არ იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას...

**„წინააღმდეგობის მოძრაობისგან“** განსხვავებით ქვეყანა ინტერესით ელოდა რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის **მინდია გულუას** პარტიის ჩამოყალიბებას, რომლის სახელწოდება **„განახლებული საქართველო“** რეალობის შესატყვისი ნამდვილად არ არის (იქნებ სჯობდა „მოძრაობა **განახლებული საქართველოსთვის“?!**).

ასე მომრავლებული პოლიტპარტიების ფონზე „სამოღვაწეო ასპარეზზე“ ორი კინკილა პარტიის გამოჩენა არც გამიკვირდებოდა, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ერთი მოვლენა რომ არა – ახალი პარტიები დაფუძნდა **ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ ამბიციური პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, რომელმაც უჩვეულო აჟიოტაჟი შეიტანა ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში.** მართალია, ბ-ნ **მინდია გულუას** პოლიტიკური ამბიციები რამდენიმე თვის წინათ ეუწყა საზოგადოებას, მაგრამ, მის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას დღემდე საშველი არ დაადგა – **რამდენადაც ვიცი, ასევე დღემდე ვერ მოიძებნა პოლიტიკურ ბატალიებში გამოწრთობილი ლიდერი, რომელიც ნდობის მანდატით იქნებოდა აღჭურვილი და რომელსაც სათანადო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შემდეგ საშუალება ექნებოდა დაეკომპლექტებინა ე.წ. პოლიტიკური გუნდი.** თუ ობიექტური ვიქნებით, პარტიის შექმნის იდეას თავის დროზე გულშემატკივრები საკმაოდ გამოუჩნდა. მეტიც, არარსებულ პარტიაში რეგალიებსაც კი ინაწილებდნენ და შორსგამიზნულ გეგმებსაც აწყობდნენ, მაგრამ პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ სულ სხვა სურათი აჩვენა – რომ არაფერი ვთქვათ ახალდაფუძნებული პარტიის ლიდერზე, მმართველი გუნდი (გამგეობაძ ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. **გაძლიერდება თუ არა პარტიის შემადგენლობა და გამოჩნდება თუ არა გამოკვეთილი ლიდერი, ძნელი სათქმელია. თავს უფლებას ვაძლევ დავსვა რამდენიმე კითხვა: როგორ აპირებს ბ-ნი მინდია გულუა მის სახელთან ასოცირებული პარტიის ვირტუალურად მართვას, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა პარტიის შიგნით პოლიტიკურად ანგარიშგასაწევი ფიგურები არ ჩანან? რამდენად საჭირო და ოპტიმალურია ახალი პარტიის ჩამოყალიბება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ამბიციების გაცხადების შემდეგ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების გათვალისწინებით? რა არის მისი პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი? რა პოლიტიკურ გათვლებს ეყრდნობა მისი გადაწყვეტილება და რამდენად რეალურია ვირტუალურ გარემოში შექმნილი პარტიის პერსპექტივაზე საუბარი?**

იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნი მინდია გულუა არ არის საქართველოს მოქალაქე და ხელისუფლებამ მას უკვე ოფიციალურად გადაუკეტა ფინანსური არტერია (დაყადაღებულია საქველმოქმედო მისიით გახსნილი ანგარიშები) ძნელი სათქმელია, რა გზებით და მეთოდებით შეძლებს იგი მისი ინიციატივით დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას.

გულწრფელად ვიტყვი: ამ ორი სუბიექტის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენა ნაკლებად მაფიქრებს – ისინი ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს მაინც ვერ შეცვლიან. მე უფრო მტკივნეულ და საშიშ პრობლემაზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. საქმე ეხება საზოგადოების **„დაყავი და იბატონეს“** პრინციპით დაშლა-დანაწევრებას, რომელმაც ორი ათეული წელია პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირების ხასიათი მიიღო.

საქართველომ, როგორც პოსტსაბჭოთა ეპოქის ერთ-ერთმა შემადგენელმა სუბიექტმა, საკუთარ თავზე იწვნია კომუნისტური იდეოლოგიის შხამი და სამსალა, რასაც თან ერთვოდა ერთპარტიული დიქტატის სიმძიმეც. **სწორედ იდეოლოგიის მარწუხებში იყო მოქცეული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც ხელს უშლიდა სრულფასოვანი ინდივიდის ჩამოყალიბებას. თუმცა, მარქსიზმ-ლენინიზმიდან გაქცევამ, უფრო სხვა, არანაკლებ საშიშ ტენდენციამდე მიგვიყვანა.**

**დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს არანაირი იდეოლოგია** (კომუნისტური იდეოლოგიიდან გაქცევა საერთოდ იდეოლოგიაზე, როგორც ასეთზე, უარის თქმას არ უნდა ნიშნავდეს!) **და რომელიც პარტიებად დაქუცმაცებული ჯგუფების დაპირისპირების ასპარეზად იქცა.** დაზუსტებით არ ვიცი: რამდენი პარტია, საზოგადოებრივი მოძრაობა, თუ პოლიტიკური გაერთიანებაა საქართველოში, მაგრამ მათი საქმიანობის მიზნები და ამოცანები იმდენად შორსაა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისგან, რამდენადაც თვით ეს პოლიტიკური სუბიექტები ერთმანეთისგან.

იხ. 9 გვ.

პარტიებსა და მოძრაობებში

# კონცერტი ორკესტრისა და მაესტროსთვის

თავისი არსებობის ხანმოკლე ისტორიაში ქართულმა პარტიამ სახელი დაიმკვიდრა და გაითქვა არა როგორც პოლიტიკურმა წარმონაქმნმა, არამედ როგორც მუშტიკრივის უბადლო ოსტატების საბადომ. არავითარი გეგმა, არავითარი სტრატეგია, უბრალოდ სლოგანი – ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და მთავარი აქცენტი – ოქრუაშვილი სააკაშვილის ბუაა, ამიტომ იგი იმ დროს უნდა გამოჩნდეს, როცა ეფექტი დიდი იქნება. ამიტომ იყო, რომ ოქრუაშვილი მისმა მთავარმა პიარშიკმა ეროსი კიწმარიშვილმა სულ რამდენჯერმე გამოაჩინა ეკრანზე. ოქრუაშვილი თავის ფუნქციას კარგად ასრულებდა, პარიზიდან გულზე მჯიღს ირტყამდა, იმუქრებოდა, სააკაშვილი კი ადეკვატურად პასუხობდა – ხსნიდა ახალ ქარხანას, სტადიონს ან შადრევანს და კომენტარში აუცილებლად ახსენებდა ყოფილ თანაგუნდელს.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბევრი საეჭვო გარემოება გამოიკვეთა. ოქრუაშვილის პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას უკავშირდება. ივანიშვილმა ქართული პარტიის თავმჯდომარე თავისთან მიიწვია, მართალია მას ეს მეორედ აღარ გაუმეორებია, მაგრამ კითხვა „ქართული ოცნება“ „ქართულ პარტიას“ თავმჯდომარის გარეშე დატოვებს თუ არა, დღემდე ისე დგას დღის წესრიგში, თითქოს ქართულ პოლიტიკაში სხვა ყველაფერი რიგზე იყოს.

სოზარ სუბარი უკვე ერთი კვირაა რაც ჩამოვიდა ჟენევიდან, სადაც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩევლის რანგში მრჩეველთა საბჭოს სხდომებს ესწრებოდა. ერთი კვირა ცოტა დრო არაა და სუბარს საჯაროდ (და არა ვთქვათ რომელიმე ერთ გამოცემასთანძ უნდა დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება. ეს არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ სუბარი პარტიის წევრებსაც არ ეკონტაქტება.

„ქართული პარტია“ ვერ ელევა თავმჯდომარეს, მაგრამ მთავარ დამფინანსებელს კოტე გოგელიას ადვილად იმეტებს. რატომ გაუშვეს თუ წავიდა გოგელია პარტიიდან, ამის შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას Presage.tv რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს. ახლა, რაც შეეხება მთავარ პრობლემას, რომელიც პარტიიდან გოგელიას გაშვებას უკავშირდება და რაც ქართულ მედიასივრცეზე, ასე თუ ისე, გავლენას მოახდენს.

კოტე გოგელია, გარდა იმისა, რომ ქართული პარტიის დამფინანსებელი იყო, ასევე ფლობს ტელეკომპანია მაესტროს 25%-იან წილს. იმ დროს, როცა ეს წილი გოგელიას ცოლმა მაკა ასათიანმა (ლევან გაჩეჩილაძის ნათესავმაძ გადაიფორმა, არავინ ფარავდა რეალობას – გოგელიას ეს წინადადება ეროსი კიწმარიშვილმა შესთავაზა. კიწმარიშვილი თანაგუნდელს ენდო, 25% – გოგელიას, მართვის კომპანია კი თავად მას – კიწმარიშვილს! პარტიული ნიშანი ტელეკომპანიას არ დატყობია, ერთი უბრალო მიზეზით – თავად პარტიაში არასდროს ყოფილა საქმე ისე აწყობილი, ტელეკომპანია გახსენებოდა ვინმეს. კიწმარიშვილისთვის მედიასივრცე ბიზნესია, მას კარგად შეუძლია დემოკრატიულ ნიღაბში ისე შეფუთოს პროდუქცია, ეჭვიც კი არ დაბადოს. რუსთავი-2-ს კიწმარიშვილი მთლიანად აკონტროლებდა და სწორედ მის ხელში გახდა ეს ტელევიზია ძალიან პოპულარული. „მაესტროც“ მიაღწევდა წარმატების გარკვეულ ზღვარს, რომ არა ის დაპირისპირება, რასაც ადგილი ჰქონდა.

პირველი სკანდალი ეკა ბერიძის ქმარს უკავშირდება. როგორც ამბობენ, ტელეკომპანიის დირექტორს კომპანიისთვის დღემდე აქვს დასაბრუნებელი თანხა. მომდევნო სკანდალი წილების გადანაწილებას უკავშირდება, ივანიშვილის განცხადებას ტელეკომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მფლობელის – ღლონტის ისეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვა, თითქოს ღლონტი არ იყო, ორიოდ წლის წინათ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში რომ აცხადებდა – თუ საინფორმაციო ბადეზე გავლენას არ მოახდენენ, მე დაფინანსებას ხელისუფლებისგანაც მივიღებო.

ფაქტია – ხელისუფლებამ დამოუკიდებელი ტელეკომპანიები ყოველგვარი დაბრკოლების და წინააღმდეგობის გარეშე გადასანსლა და მოინელა. მეცხრე არხი, რომელიც ივანიშვილის საკუთრება იყო, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „რუსთავი-2“-ის პროექტად გამოცხადდა. მეცხრე არხი ივანიშვილმა მაშინ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაუთმო კიწმარიშვილს. ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რევოლუციამდე მეცხრე არხის საინფორმაციო ბადეზე ვერავინ მოახერხა გავლენის მოპოვება. ეს იყო ფაქტი, ანუ თქმა იმისა, რომ ივანიშვილი გვიყიდის და სათავისოდ გამოგვიყენებს, უბრალოდ თითიდან გამოწოვილი იყო და მეტი არაფერი. ახლა „მაესტროს“ საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ეს გარედან ჩანს.

ტელეკომპანია „მაესტროს“ 25% გოგელიასია, ეს – ოფიციალურად, რეალურად კი, ყველამ კარგად იცის, რომ გოგელიასა და ოქრუაშვილს შორის არსებობს შეთანხმება, რომლითაც ეს 25% რეალურად ოქრუაშვილისაა. კიწმარიშვილმა გოგელია უბრალოდ გამოიყენა, თავისთავად - ოქრუაშვილმაც. ამიტომაა, რომ მიუხედავად არსებული განხეთქილებისა, „მაესტრო“ ვერც გაჩეჩილაძეებმა და ვერც გოგელიამ ვერ დაისაკუთრეს. არც ერთ მხარეს პრეტენზია არ გამოუხატავს ტელეკომპანიის მმართველი კომპანიის წინააღმდეგ. ერთადერთი, ვინც კიწმარიშვილის საწინააღმდეგოდ ილაპარაკა, ეკა ბერიძის ქმარი იყო. დღემდე არავინ არაფერს ამბობს, როგორ არ გაუშვა ბერიძე „მაესტროდან“ კიწმარიშვილმა. სხვათა შორის, ეს თემა „მაესტროზე“ განიხილებოდა, თუმცა, როგორც ამბობენ, სწორედ კიწმარიშვილი წავიდა წინააღმდეგი.



არსებული ინფორმაციით, გოგელიას „მაესტროს“ თემაზე ოქრუაშვილთანაც ჰქონდა საუბარი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იმას, რაც არ ეკუთვნის, გოგელია ვერ მიიღებს. პრინციპში არც ის ითხოვს „მაესტროს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წილს. ახლა „მაესტროს“ საკითხი ასე დგას: რეალურად მას მართავს ეროსი კიწმარიშვილის მართვის კომპანია, რომლის ანგარიშზეც 25%-იანი წილი ირიცხება, ყოველ შემთხვევაში მანამ, ვიდრე ოქრუაშვილსა და კიწმარიშვილს შორის შავ კატას არ გაურბენია.

ახლა, როცა ივანიშვილს ძალიან უნდა ტელევიზიის შეძენა... როცა საუბარია გაუცემელ ხელფასებზე და შტატების შემცირებაზე... ახლა, როცა საუბარია კულუარულ გარიგებებზე, არაა გამორიცხული, კიწმარიშვილის კოზირი – „მაესტრო“, ვაჭრობის საგანი გახდეს, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად კომფორტულია ეროსი კიწმარიშვილთან თუნდაც ვაჭრობა და თუნდაც ბიზნეს-პარტნიორობა.

რატომ დათმო გოგელიამ ასე ადვილად ყველაფერი? რატომ არ აპროტესტებენ ამას გაჩეჩილაძეები და რატომ დუმს ყველა? ამ კითხვებზე პასუხი ძალიან მარტივია. Presage.tv-მ მოიპოვა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც ბევრ დღემდე გაუცემელ კითხვას სცემს პასუხს, მასალას ამ თემაზე, როგორც დაგპირდით, უახლოეს მომავალში წაიკითხავთ.

**ნანა მაისაშვილი**

# „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! ვაი — დამარცხებულთ!“



**ყველას, ვინც აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების თაობაზე ტალიავინისეულ და ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში გამოხატულ შეფასებას იზიარებს, სააკაშვილის მომხრეები პუტინის პოზიციის გამხმოვანებელ მოღალატეებად მოიხსენიებენ. ივანიშვილის პრესკონფერენციაზეც ერთ-ერთი „ჩამჭრელი“ შეკითხვაც ამ თემას უკავშირდებოდა.**

ჩასაფრებულ ჟურნალისტებს აშკარად იმედი გაუცრუვდათ: ივანიშვილს ამ თემაზე ახალი და, მით უმეტეს, სენსაციური არაფერი უთქვამს. მან ის გაიმეორა, რაც აგვისტოს ომის დაწყების შესახებ ისედაც საყოველთაოდ, მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. მოგვიანებით, ივანიშვილის პრესსამდივნომ ამ თემასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარიც გამოაქვეყნა:

**„ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებით ღიად დაადანაშაულა საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში, რაც, მათივე თქმით, სიცრუეს წარმოადგენს და რუსეთის ინტერესებს ემსახურება. ბიძინა ივანიშვილის მიერ 1 ნოემბრის პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებით, არსებობს ტალიავინის კომისიის დასკვნა და ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ, რომელსაც ქართულმა დელეგაციამაც მოაწერა ხელი. ორივე დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ ომის დაწყების თარიღად 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის მიმართულებით ქართული სამხედრო შენაერთების მიერ გაუფრთხილებელი ცეცხლის გახსნა სახელდება, რასაც შედეგად რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენება მოჰყვა. კერძოდ, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის №1633 რეზოლუციის მე-5 პუნქტის თანახმად, „2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის წინააღმდეგ გაუფრთხილებლად საარტილერიო ცეცხლის გახსნამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა და სრულმასშტაბიან ომად გადააქცია“.**

ბიძინა ივანიშვილმა აქვე მიუთითა, რომ აგვისტოს ომს წინ უსწრებდა ოსური მხარის მიერ ქართული სოფლების დაბომბვა. **„ნაცვლად იმისა, რომ დაეცვათ ქართული სოფლები, გამოეყვანათ საშიში ზონიდან მოსახლეობა, მოეწვიათ საერთაშორისო ორგანიზაციები და დაეფიქსირებინათ, რაც ხდებოდა, დაიწყო ცხინვალის დაბომბვა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

აქ მოყვანილ რეზოლუციაში ომის დაწყების უდავო ფაქტის, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაში არავითარ ეჭვს არ იწვევს, მკაფიო კონსტანტირებაა. ტალიავინის კომისიის მოხსენებაშიც იგივეა ნათქვამი და საქართველოს მხრიდან 7 აგვისტოს ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ობიექტურადაც არის შეფასებული.

7 აგვისტოს 23.35 წთ-ზე სააკაშვილის სატელეფონო ბრძანების შედეგად იერიშის დაწყება ქ. ცხინვალზე ტალიავინის კომისიის დასკვნის თანახმად ასე ფასდება: **„არსებობს დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც აჩვენებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს საქართველოს მიერ განხორციელებული ოპერაცია არ წარმოადგენდა მხოლოდ თავდაცვით აქციას. ამის პირველი ინდიკატორია ის, რომ ქართველ სამშვიდობო ძალათა მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა ყურაშვილმა უშუალოდ შეტევის დაწყების შემდგომ განაცხადა, რომ ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“. შემდგომ მან უარყო თავისი ეს განცხადება, ხოლო პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღიად გააპროტესტა იგი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქი — ცხინვალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამხედრო მოქმედება არ იყო მხოლოდ წინმსწრებ ინციდენტებზე საპასუხო რეაქცია, არამედ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა.“**

შეტევითი სამხედრო ოპერაციის, როგორც პოლიტიკური მიზნების მქონე აქციად შეფასების შემდგომ ტალიავინის კომისიის დასკვნა ცალსახაა: **„ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალზე განხორციელებული საჰაერო და სახმელეთო შეტევა, რომლის ბრძანებაც გასცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, არ იყო პროპორციული, გამომდინარე, საქართველოს მიერ ძალის გამოყენება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც თავდაცვა“.**

ტალიავინის კომისიას ფაქტების დამდგენი მისიის მანდატი ჰქონდა. ცხადია, მის ამოცანებში არ შედიოდა იმ პოლიტიკური მიზნების გარკვევა და შეფასება, რასაც, როგორც დასკვნაშია მითითებული, აშკარად გულისხმობდა ცხინვალზე სამხედრო შეტევა. ამ კომისიისათვის საკმარისი იყო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით სააკაშვილის მიერ ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის გარკვევა. მიუხედავად იმისა, თუ რა იყო სამხედრო აქციის პოლიტიკური მიზანი — „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“, თუ სხვა რამ, **ტალიავინის კომისია პირდაპირ აცხადებს, რომ ცხინვალზე შეტევის სამხედრო ოპერაცია თავდაცვით აქციად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. კომისიის დასკვნაში ისიც ცალსახად არის ახსნილი, რომ გაეროს წესდებით სამხედრო ძალის ლეგიტიმური გამოყენება მხოლოდ თავდაცვის მიზნით არის დაშვებული. გამომდინარე, საკითხი, თუ ვინ გამოიყენა ამ ომის დასაწყებად არალეგიტიმურად სამხედრო ძალა, ცალსახად არის გარკვეული — ომი სააკაშვილმა დაიწყო 7 აგვისტოს, 23.სთ-სა და 35-წთ-ზე.**

ომის როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი შეფასებისათვის ორ მთავარ შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

1ძ რა იყო ცხინვალზე განხორციელებული სამხედრო შეტევის პოლიტიკური მიზანი? რამდენად ლეგიტიმური იყო ეს მიზანი? მიღწევადი იყო თუ არა იგი?

2ძ რამდენად კონსტიტუციურად და მოქმედი სამართლის ფარგლებში მოხდა სამხედრო ძალის გამოყენება?

პირველი შეკითხვა უმეტესწილად ამ ომის პოლიტიკურ, ხოლო მეორე — სამართლებრივ შეფასებას უკავშირდება.

არც ერთ ამ შეკითხვაზე ხელისუფლებას ნათელი პასუხი არ გაუცია. ეს ნიშნავს, რომ **სიმართლე ამ ომის შესახებ დაფარულია. ამისათვის ომის დასრულებისთანავე იზრუნეს. სამხედრო-პოლიტიკური კრახი თავიანთი „პიარ-ჯადოქრობით“ წარმატებად გაასაღეს და პროპაგანდისტულმა მანქანამ ომის უმძიმესი შედეგები არარსებული, გამოგონილი მიღწევებით გადაფარა.**

აქვე ისიც ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ტალიავინის დასკვნის მიხედვით პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ქართულ მხარეს ეკისრება.

**მოხსენებაში ნათლად არის გარკვეული, რომ მართალია, საომარი მოქმედებები საქართველომ დაიწყო, მაგრამ ეს მოხდა სეპარატისტების წინასწარი, გამიზნული პროვოკაციული მოქმედებების შედეგად, რასაც რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს. რაც მთავარია, რუსეთმა შემდგომ სრულიად უკანონოდ დაარღვია სამშვიდობო მანდატი და თავისივე პროვოცირებული ომი გამოიყენა ქართული ტერიტორიების ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისათვის.**

ტალიავინის კომისიამ პასუხი გასცა საერთაშორისო საზოგადოებისათვის საინტერესო შეკითხვებს ამ ომთან დაკავშირებით. ჩვენთვის, კი ქართველებისათვის, უმთავრესი საკითხები კვლავაც ბურუსითაა მოცული. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ საზოგადოებაში ამ ომის თაობაზე რადიკალურად საპირისპირო პოლიტიკური შეხედულებები ნამდვილად არ გვაკლია, აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეფასება, რაც პოლიტიკურ კამათსაც წერტილს დაუსვამდა, დღემდე არ მომხდარა.

ამ ომთან დაკავშირებით ყველა არსებითი სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა პასუხგაუცემელია. არც ერთი საკუთარი თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელი საზოგადოება და სახელმწიფო ასეთ შეკითხვებს უპასუხოდ არ დატოვებდა. ხელისუფლება აგერ უკვე მეხუთე წელია თვალში ნაცარს გვაყრის და ყველანაირად ცდილობს ეს უხერხული შეკითხვები მიჩქმალოს. თუკი ხმამაღლა ვინმე გაბედავს და სიმართლეს მაინც შეახსენებს, მათი რეაქცია ისტერიულად თავშეუკავებელი და მწვავეა. რატომ? იქნებ სწორედაც იმიტომ, რომ, როგორც იტყვიან — ქურდს ქუდი ეწვის?

საკითხის მისაჩქმალად და ზემოთ დასმულ შეკითხვებზე თავის ასარიდებლად ხელისუფლებამ ფსევდოპოზიციაც კარგად გამოიყენა. თავისი მოქმედების „გასაპრავებლად“ ხელისუფლებამ ომის დასრულებისთანავე პ. დავითაიას ხელმძღვანელობით შექმნა ე.წ. აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი კომისია. ამ კომისიის კონიუნქტურული დასკვნა, რომელიც ზემოთ დასმულ შეკითხვებზე ფაქტობრივად არაფერს ამბობს, საქმის ნამდვილ ვითარებაში გასარკვევად არ გამოდგება. პ. დავითაიამ ყველაფერი გააკეთა, რათა ტალიავინის დასკვნებამდე ხელისუფლების მოქმედებებისათვის გამართლება გამოეძებნა.

**დავითაიას დასკვნა, ანუ ხელისუფლების ოფიციალური ვერსია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მათი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ კონფლიქტი რუსების მიერ სეპარატისტების მხარდაჭერით წლების განმავლობაში ღვივდებოდა, ხოლო აგვისტოს დასაწყისში ამას დაემატა რუსების პირდაპირი სამხედრო ჩართვა. აქედან წარმოდგება მტკიცებულება, რომ ომი აგვისტოს 7-ში კი არ დაწყებულა, არამედ უფრო ადრე, ხოლო 7-ში მან უბრალოდ მწვავე ხასიათი მიიღო.**

ის, რომ რუსეთი სეპარატისტებს აქეზებდა და მხარს უჭერდა, მათ შორის სამხედრო ძალითაც, საზოგადოებისათვის ომამდე დიდი ხნით ადრეც კარგად იყო ცნობილი. ეს გარემოება არსებობდა წლების განმავლობაში, მაგრამ ცხინვალზე შეტევის დაწყების საბედისწერო გადაწყვეტილება, რაც ცალსახად აგვისტოს ომის დაწყებად უნდა შეფასდეს, 7 აგვისტომდე მიღებული არ ყოფილა. რატომ? რითი განსხვავდებოდა 7 აგვისტოს შექმნილი მდგომარეობა, მაგალითად, იმავე წლის გაზაფხულზე კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისაგან? რა იყო ამ სამხედრო ოპერაციის რეალური მიზანი? ამ კითხვებზე პ. დავითაიას კომისიას დასაბუთებული პასუხი არ გაუცია.

სიმართლე მაინც არ დაიმალება. ეს სიმართლე თვით ამ კომისიაზე სააკაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების გამოსვლათა სტენოგრამებშიც აშკარად იკითხება. **7 აგვისტოს ღამით სამხედრო აქციის დაწყებას სააკაშვილი პირდაპირ აღიარებს: „მე ადრეც ღიად ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ: დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში.“** შემდეგ სააკაშვილი უშედეგოდ ცდილობს სამხედრო ძალის გამოყენება არა რაიმე პოლიტიკურ მიზანს, არამედ მხოლოდ თავდაცვით აუცილებლობას დაუკავშიროს. ასეთი მცდელობა იმთავითვე განწირულია, რადგან შეუძლებელია ცხინვალზე შეტევითი ოპერაციის თავდაცვად წარმოდგენა. სრულიად ნათელია, რომ 7-ში არმიის მიერ დაწყებულ სამხედრო ოპერაციის შეტევითი ხასიათი აქვს: სხვა რომ არაფერი, ამას ადასტურებს ომის პირველსა და მეორე დღეს ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაცემული სამხედრო „წარმატებების“ ქრონიკა. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ გამოდიოდა უტიაშვილი ლამის, საათში ერთხელ და რიხით გვამცნობდა მორიგი დასახლებული პუნქტის აღებას. აღარაფერს ვიტყვი ასევე პირდაპირ ეთერში რეგულარულად გაშვებული სააკაშვილისა და ლომაიას მხედრული ტრაბახის თაობაზე.

ცხადია, რომ შეტევით ოპერაციას აუცილებლად უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური მიზანი. **სწორედ პოლიტიკურ მიზანზე მინიშნებას წარმოადგენდა გენერალ ყურაშვილის ღია განცხადებაც, რომლის კომენტირებისას სააკაშვილი ამბობს: „მამუკა ყურაშვილის განცხადება (კონსტიტუციური წესრიგის აღდგენასთან დაკავშირებით) იყო სრული სიბრიყვე, ამ კაცს არ ჰქონია არანაირი მანდატი ამგვარი განცხადების გასაკეთებლად. როცა ატყდა ეს ყველაფერი, მას ეს საკუთარი თავის გამოჩენის სურვილმა ათქმევინა. ეს იქნა ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ გამოყენებული. ეს იყო უხეში შეცდომა. კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა — ეს არის ჩეჩნური ტერმინი, რომელსაც ჩვენ არ ვიყენებთ.“**

თურმე ნუ იტყვით და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა „ჩეჩნური ტერმინი“ (?!ძ ყოფილა. ამ განმარტებიდან ცხადი ხდება, რომ სააკაშვილს ძალის გამოყენებით წესრიგის აღდგენის სხვა, უფრო „კეთილშობილური“ ტერმინით ახსნა სურს და ასეთი გადაუჭრელი დიალექტიკური ამოცანის გადაწყვეტას ვერ ახერხებს; ანდა, შესაძლოა იმის თქმა უნდა, რომ მას ასეთი „ბრიყვული“ მიზანი არ შეიძლება ჰქონოდა. საკითხავია: რა ტერმინით ახსნის იგი საკუთარი ბრძანების მიზანს? თუ წესრიგის აღდგენა არა, მაშ რა ამოძრავებდა სააკაშვილს? ცალსახაა, რომ პოლიტიკური მიზნის გარეშე ცხინვალის ასაღებად სამხედრო ოპერაციის დაწყების ბრძანებას ლოგიკური ახსნა არა აქვს. შეიძლება ეს ასეც არის და გადაწყვეტილება არა ლოგიკით, არამედ იმპულსური რეაქციითა ნაკარნახევი. ხოლო თუ ეს აფექტური მოქმედება არ იყო და არც კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას გულისხმობდა, მაშ რა უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მიზანი? იქნებ დასავლეთის იმედად რუსეთის პროვოცირება ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში ჩასართავად? იქნებ ის უმძიმესი შედეგი, რაც ამ ომს მოჰყვა? — მსხვერპლი, ნგრევა, ძირძველი ქართული სოფლების მიწასთან გასწორება, მოსახლეობის რბევა და დევნა, ლტოლვილები, ქართული ტერიტორიების დე იურე აღიარება რუსეთის ფედერაციის მიერ და ფაქტობრივად მათი ანექსია?

პ. დავითაიას აზრადაც არ მოსვლია ამ შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის მოთხოვნა. მადლობა ღმერთს, პ. დავითაია საქართველოს არ წარმოადგენს — იგი დაეთანხმა და „გამპრავებლის“ იაფფასიანი და უბადრუკი როლი ითამაშა, რაც, ცხადია, მისი პრობლემაა. ამ შეკითხვებზე კი პასუხები სწორედ საქართველოს, სამართლის და არა „გამპრავებლების“ წინაშე უნდა გასცეს სააკაშვილმა.

ჩვენ დღესაც არ ვიცით როგორია სააკაშვილის პასუხი. თუკი რუსეთის სასარგებლოდ სააკაშვილის შეგნებულ ღალატს წინასწარ გამოვრიცხავთ და დავუშვებთ, რომ ომის უმძიმესი შედეგები მას გაცნობიერებული არ ჰქონდა, ორში ერთ-ერთი რამ უნდა ვივარაუდოთ:

იხ. 6 გვ.

# „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! ვაი – დამარცხებულთ!“



(მეხუთე გვერდიდან)

**1) სააკაშვილს თავი დიდხანს არ უმტვრევია და სეპარატისტების პროვოკაციათა პასუხად იმპულსურად მიიღო გადაწყვეტილება შეტევითი ოპერაციის დაწყების თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ომის დაწყების პოლიტიკური მიზანი სააკაშვილს გააზრებულიც არ ჰქონდა, რაც ბუნებრივია, არა მხოლოდ შეცდომად, არამედ მძიმე დანაშაულადაც უნდა შეფასდეს, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს შეიძლება არც ესმოდა თავის მოქმედების პოლიტიკური მიზანი, ამ მიზნის ლეგიტიმურობა არმიამ სწორედ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის კანონიერებაში დაინახა, რასაც ყურაშვილის განცხადება თვალნათლივ ადასტურებს.**

**2) სააკაშვილს ნამდვილად სურდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა ცხინვალის რეგიონში და ამიტომაც გასცა შეტევითი ოპერაციის დაწყების ბრძანება. ეს ნიშნავს, რომ მას გაცნობიერებული არ ჰქონდა, ანდა შეგნებულად არ გაითვალისწინა, რომ იმ ვითარებაში კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის თავისთავად კეთილშობილური (და არა „ჩეჩნური“) მიზანი ეწინააღმდეგებოდა როგორც საერთაშორისო სამართალს (საქართველო შებოჭილი იყო სოჭის 1992 წლის და მისგან გამომდინარე სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით და არ შეეძლო თუნდაც წესრიგის აღსადგენად ცალმხრივად ძალის გამოყენება), ასევე საქართველოს კონსტიტუციასაც (კონსტიტუციის მიხედვით არმიის გამოყენებას წესრიგის აღსადგენად სჭირდება საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შემოღება). გამოდის, რომ იგი შეგნებულად ან შეუგნებლად წავიდა სამართლის წინააღმდეგ. იგი, ალბათ, წინასწარ ტკბებოდა ქიმერული წარმატებით და ამიტომაც ხელმძღვანელობდა არა სამართლით, არამედ რომაული სენტენციით: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ!“. მაგრამ მას დაავიწყდა და დღესაც არ ახსოვს ამ სენტენციის მეორე ნაწილი: „ვაი-დამარცხებულთ!“.**

სინამდვილეში რა იყო სააკაშვილის მიზანი და მოტივაცია, ალბათ, სასამართლოზე გახდება ცნობილი. მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მას, უმძიმესი შედეგი არ იცვლება – შეტევითი სამხედრო ოპერაციის შედეგად არც კონსტიტუციური წესრიგი აღდგენილა და არც ტერიტორიული მთლიანობა, არც მოქალაქეთა სიცოცხლე, უსაფრთხოება და საკუთრება ყოფილა დაცული, ყველაფერი სწორედაც პირიქით მოხდა. **ამიტომ სააკაშვილის მოქმედებას სხვა პოლიტიკური შეფასება ობიექტურად ვერ ექნება. ნათელია, რომ ეს იყო სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა.**

* * *

ნებისმიერი პრეზიდენტი, თუკი მას შუბლის ძარღვი გაწყვეტილი არა აქვს, აგრეთვე მისი ე.წ. გუნდიც, ამ ავანტიურისათვის უმძიმესი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ტვირთს გააცნობიერებდა და საერთოდ წავიდოდა პოლიტიკიდან. მაგრამ მოხდა პირიქით – მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინო სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფაც კი ამ რეჟიმმა თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა. ის, რომ მათ ძალაუფლება შეინარჩუნეს (როგორც ამბობენ – „არ ჩამოიშალნენ“ძ, ამ ომში მიღწეულ უდიდეს წარმატებად მიაჩნიათ. არადა, ელემენტარული წესიერება რომ ჰქონდეთ და სიმართლის გახსენებაზე ისე „დერზკად“, როგორც მაგალითად „კაკოიე“ ბოკოხიძე მოიქცა, არ იქცეოდნენ, იოლად მიხვდებოდნენ, რომ ამ ომში რაიმე წარმატებაზე საუბარი ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და უზნეო ცინიზმია.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის გარდა, სააკაშვილის და მისი გუნდის მოქმედებას სამართლებრივი ასპექტიც აქვს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფო უპირველესად სწორედ სამართლის აღსრულებაა. მართლაც, თუ სახელმწიფოში გვსურს ცხოვრება – ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე.

როგორ შეიძლება სამართლის კუთხით სააკაშვილის მიერ 7 აგვისტოს ჩადენილი ავანტიურის შეფასება? რამდენად კანონიერი იყო სააკაშვილის მიერ შეტევითი ოპერაციისათვის სამხედრო ძალის გამოყენება? კონსტიტუცია და მოქმედი სამართალი ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს სცემს.

**საქართველოს კონსტიტუციის მე-100 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად: „სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად.“**

**ამასთან, კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით პრეზიდენტის მიერ სამხედრო ძალების გამოყენება მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი – საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. კონსტიტუცია (73-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები) ასევე განსაზღვრავს, რომ როგორც საომარი, ასევე საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა დასამტკიცებლად პარლამენტს 48 საათის განმავლობაში უნდა წარუდგინოს.**

7 აგვისტოს ღამის 23.35 წთ-ზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც პ. დავითაიას კომისიის სტენოგრამები ამას ადასტურებენ, ტელეფონით გადაცემული ბრძანების სახით იქნა მიღებული.

ამ სატელეფონო ბრძანების შემდეგ 9 აგვისტომდე პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შესახებ არ გამოცემულა. 9 აგვისტოს გამოცემული იქნა პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“, რომელიც იმავე დღეს, 9 აგვისტოსვე დაამტკიცა პარლამენტმა.

**7 აგვისტოს ღამის თორმეტი საათიდან 9 აგვისტომდე, როცა პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საომარი მდგომარეობა, სამხედრო ძალა გამოიყენებოდა ყოველგვარი სამართლებრივი რეჟიმის შემოღებისა და დასაბუთების გარეშე, რაც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.**

პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის უხეშ დარღვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამხედრო ძალა მან გამოიყენა მხოლოდ ვერბალური, სატელეფონო ბრძანების ძალით, რასაც დაუყოვნებლივ არ მოჰყვა არმიის გამოყენების დასაბუთება – პრეზიდენტის ნორმატიული შინაარსის აქტი: ბრძანებულება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რაც არც 7-ში და არც 8-ში გამოცემული არ ყოფილა.

**9 აგვისტოს, უკვე „პოსტ ფაქტუმ“ გამოცემული ბრძანებულება ვერ გაამართლებს 7-ში არმიის არაკონსტიტუციურ გამოყენებას. აქ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოებაცაა საყურადღებო: 9-ში, 7-სგან განსხვავებით არმიის გამოყენების სრულიად მკაფიო საფუძველი წარმოიშვა – სახეზე იყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან სრულმასშტაბიანი, მტრული სამხედრო მოქმედება, რაც 7-ში, ე.ი. არმიის თავდაპირველად გამოყენების მომენტში ვერ დასაბუთდებოდა და არც დასაბუთებულა.**

აქ, საქმის ვითარებაში გასარკვევად, ტალიავინის კომისიის დასკვნასაც უნდა მოვუხმოთ, რომელიც ცალსახად ამბობს, რომ: **„მისია ვერ დარწმუნდა საქართველოს იმ შეხედულებების ჭეშმარიტებაში, რომ თითქოს რუსი ჯარისკაცები როკის გვირაბის გავლით უკვე შემოიჭრენ საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალზე საჰაერო და სახმელეთო შეტევამდე, რაც 7 აგვისტოს 23:35-ზე დაიწყო. რუსეთის არმიის ნებისმიერი შეყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ამ მომენტის შემდგომ განხორციელდა, არ შეიძლება შეფასდეს როგორც წინმსწრები შეტევა, რაც საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებას, როგორც თავდაცვათ ღონისძიებას, დაასაბუთებდა“.**

ეს დასკვნაც ადასტურებს, რომ 7-ში საომარი მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი სააკაშვილს არ გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ იგი ვერც საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებდა, რადგან შეზღუდული იყო სოჭის და მისგან გამომდინარე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რაც კონფლიქტის ზონაში საქართველოს მიერ ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებას საგანგებო მდგომარეობის ან, მით უმეტეს, „კონსტიტუციური წესრიგის“ აღდგენის თაობაზე, სრულიად გამორიცხავდა.

ამრიგად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის მტკიცება, რომ პრეზიდენტის მიერ არმიის გამოყენების შესახებ 7 აგვისტოს ღამით მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მას არც ნორმატიული სამართლებრივი საფუძველი არ შექმნია, რაც კონსტიტუციის განსაკუთრებით უხეშ დარღვევას წარმოადგენს. პრეზიდენტის მიერ სამხედრო ძალის კონსტიტუციის ასეთი უხეში დარღვევით გამოყენებამ გამოიწვია განსაკუთრებით სავალალო შედეგი – ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მარცხი, რაც ნამდვილად ქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს, რომ პარლამენტმა მისი იმპიჩმენტის საკითხი დასვას, ხოლო უზენაესმა სასამართლომ სააკაშვილს სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენოს.

* * *

კონსტიტუცია და კანონმდებლობა სწორედ იმიტომ არსებობს, რომ, პირველ ყოვლისა, უმაღლესმა მთავარსარდალმა და განსაკუთრებით კი კრიზისულ ვითარებაში, მათ დაუჯეროს და საკუთარ გულისთქმას არ აჰყვეს. **სააკაშვილს რომ კანონიერად, კონსტიტუციის ფარგლებში ემოქმედა, ამ ომს და მის სავალალო შედეგებს თავიდან ავიცილებდით.**

ნათქვამია – ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ხელისუფლების მოვალეობა, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ის არის, რომ უკანონო გზაზე არ გადაუხვიოს და ურემი არ გადააბრუნოს. სააკაშვილს აგვისტოს კრიზისის განსამუხტად და რუსებისაგან წაქეზებული სეპარატისტების პროვაკაციებზე პასუხის გასაცემად, იმთავითვე კანონიერი გზა უნდა აერჩია. კონსტიტუციისა და სამართლის მიხედვით მისი მოქმედება ზოგადად დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობის უნდა ყოფილიყო:

**1) აგვისტოს დასაწყისშივე, როცა ვითარება კონფლიქტის ზონაში უკიდურესად დაიძაბა და კრიტიკული გახდა, ადეკვატურად უნდა შეფასებულიყო არსებული საფრთხე; წინასწარ გათვლილი უნდა ყოფილიყო მოქმედების რამდენიმე სცენარი, მათ შორის – სამხედრო ძალის გამოყენების და შესაბამისი თავდაცვითი (და არა ცხინვალზე შეტევის)სამხედრო ოპერაციის აუცილებლობის შემთხვევაც;**

**2) თუ მოსახლეობის უსაფრთხოება, მათი სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის აუცილებლობა მოითხოვდა თავდაცვითი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას, იგი კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ზედმიწევნით დაცვით უნდა დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო;**

**3) კულახმეტოვის მოხსენების შემდგომ, რომელშიც აღიარებულია, რომ სოჭის ხელშკრულებით განსაზღვრული სამშვიდობო ფორმატი და მისი მექანიზმები ველარ მუშაობს (ეს ფაქტი ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც ხაზგასმულია), ყველა საერთაშორისო დიპლომატიური არხით, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევის მოთხოვნით, მთელი სიმწვავით უნდა დასმულიყო საკითხი რუსეთის სამშვიდობო მანდატის გაუქმებისა და ახალი ფორმატის განსაზღვრის აუცილებლობის მოთხოვნით;**

**4) საქართველოს ღიად უნდა განეცხადებინა, რომ კრიტიკული სიტუაციის შემდგომი გამწვავებისას იგი იძულებული გახდებოდა ცალმხრივად შეეწყვიტა რუსი სამშვიდობოების, რომლებიც თავიანთივე აღიარებით, ველარ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს, მანდატი და მოეხდინა სოჭის ხელშეკრულების, აგრეთვე მისგან გამომდინარე ყველა საერთაშორისო შეთანხმების დეზავუირება;**

**5) საქართველოს უნდა განეხორციელებინა დიპლომატიური დემარში რუსეთის წინააღმდეგ – დამუქრებოდა მას დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტით და ყველა საერთაშორისო დიპლომატიური არხით დაჟინებით მოეთხოვა რუსეთის ფედერაციისაგან საერთაშორისო ვალდებულებების და სამართლის დაცვა;**

**6) თუ ეს დემარში და წინმსწრები დიპლომატიური ნაბიჯები შედეგს არ გამოიღებდა და სეპარატისტების პროვოკაციული მოქმედებები არ ჩაცხრებოდა, საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის წინაშე უნდა დაესვა კონფლიქტის ზონის სტატუსთან დაკავშირებული ყველა მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების დეზავუირების საკითხი, შემდგომ ამისა – გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში და მხოლოდ სრული სამართლებრივი დასაბუთებისა და ნორმატიული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, მიეღო გადაწყვეტილება თავდაცვითი სამხედრო ოპერაციის და მოსახლეობის სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელების შესახებ.**

**ძალიან დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი კანონიერი ნაბიჯების თანამიმდევრული გადადგმის შემთხვევაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების, მით უმეტეს, ცხინვალზე შეტევის განხორციელების, აუცილებლობა საერთოდ არც წარმოიშვებოდა.**

**ამის მაგივრად სააკაშვილმა უკანონობის გზა აირჩია, რასაც სამხედრო-პოლიტიკური კრახი მოჰყვა შედეგად. ამისათვის მან პასუხი უნდა აგოს.**

* * *

სააკაშვილის დადანაშაულება სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურასა და, სულ ცოტა, კონსტიტუციის უხეშ დარღვევაში, არამც და არამც არ ნიშნავს რუსეთის გამართლებას.

მარტივი პროპაგანდისტული ტრიუკი, რომ სააკაშვილის ბრალი პუტინის გამართლებაა, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ველარ მუშაობს. სააკაშვილი და მისი გუნდი პასუხისმგებლობას ვერსად დაემალებიან. რუსეთმა მოახერხა და მრავალგზის მცდელობის შემდგომ ბოლოს მაინც წარმატებით განახორციელა სააკაშვილის პროვოცირება, ხოლო საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტის შედეგად რამდენიმე მოკლევადიან პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია: აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა, რითაც დე ფაქტო მოახდინა საქართველოს ამ ტერიტორიების ანექსია. რაც მთავარია, გარკვეული ვადით შეაჩერა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი. ხანგრძლივ პერსპექტივაში ამ პოლიტიკას წარმატება ვერ ექნება. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ფაქტობრივად როგორც სამხრეთ ოსეთი, ასევე აფხაზეთიც არა მხოლოდ მარიონეტულ, არამედ რუსეთის ფედერაციაზე სრულად დამოკიდებულ პოლიტიკურ წარმონაქმნებს წარმოადგენენ. ეს მძიმე ტვირთია თავად რუსეთისათვისაც, რომელსაც სურს ცივილიზებულ სამყაროში ადგილი დაიმკვიდროს.

**რუსეთისაგან ჩვენი უფლებების პატივისცემა რომ მოვითხოვოთ, პირველ რიგში ჩვენვე უნდა აღვასრულოთ სამართალი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელიც ჯიუტად ებღაუჭება ძალაუფლებას და მთელი თავისი მოღვაწეობით უარყოფს და ფეხქვეშ თელავს კონსტიტუციასა და სამართალს, პრეზიდენტის სავარძლის მაგივრად თავისი კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ.**

დავით ზარდიაშვილი

Presage.tv

◎ ყვალი დროში

# ცხოვრების ყველა ზვირთში ერია...



**მეცნიერის, ორგანიზატორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ თამაზ ჯანელიძის დაბადების 85 წლისთავი**

**ეს ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც „მშრალი" ბიოგრაფიული მონაცემებიც ერთობ საინტერესო და მრავლისმეტყველია:**

დაიბადა 1926 წლის 7 ნოემბერს თბილისში. 1944 წელს დაამთავრა ვაჟთა მე-7 სკოლა, 1949 წელს – სპი-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. იყო სპი-ს კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1947-1950წ., პარტკომის მდივანი (1950-1952წ., კომკავშირის თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი, პარტრაიკომის პირველი მდივანი, თბილისის პარტიის ქალაქკომის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე, საქართველოს კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივანი, პარტიის ქიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი (1957-1960წ., გეოლოგიური ინსტიტუტის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, მეცნიერ-თანამშრომელი (1960-1972წ., თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1973-1974წ., კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1974-1978წ., დირექტორი 1978 წლიდან, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე 1994 წლიდან... 1983 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალეოვულკანოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, სსრკ-ს პალეოვულკანოლოგიური რუკების მთავარი რედაქტორი (1983 წლიდან), სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1954-1958წ., საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1959-1963წ., საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-1991წ. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის ორდენით" (1986წ.

ბატონი თამაზი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. მისი მოღვაწეობა მოიცავს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე მეცნიერულ საქმიანობას. როგორც თავად აღნიშნავს, შთამბეჭდავ „მოგონებებში" (2008 წელი): „მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ველეოდი ვერც კომკავშირულ-პარტიულ კარიერას და ვერც მეცნიერული შრომის შემოქმედებითობას. ალბათ, სხვაგვარადაც შეიძლებოდა მეთქვა – ძალზე ხშირად, თავად შექმნილი სიტუაცია თუ საკუთარი ხასიათის ლოგიკა, არჩევნების გარეშე, გადამისროდა ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე სარბიელზე".

თ. ჯანელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს პალეოვულკანოლოგია, მეტალოგენია, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება. იგი არის 80-ზე მეტი გამოქვეყნებული, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით გეოლოგიის დარგში მომზადებულია მრავალი დისერტაცია.

80-იან წლებში თ. ჯანელიძე იყო ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პეტროგრაფიული კომიტეტის წევრი და უწყებათაშორისი პალეოვულკანოლოგიური კომისიისა და სსრ კავშირის პალეოვულკანოლოგიური რუკების მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, მადნეულ საბადოთა გეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ალმასკომის წევრი, მონაწილეობდა მრავალ რეგიონულ, საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში, მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის XXVI, XXVII, XXVIII სესიები (პარიზი, 1980; მოსკოვი, 1984; ვაშინგტონი, 1989წ., თბილისის VII საერთაშორისო კონგრესი (იტალია, 1981წ., არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საერთაშორისო კონგრესი (იუგოსლავია, 1985წ., მადნეულის საბადოთა გეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის VII საერთაშორისო სიმპოზიუმი (შვედეთი, 1986წ., და სხვ., სადაც გამოდიოდა სამეცნიერო მოხსენებებით, ხოლო ჩატარებული ორგანიზატორული სამუშაოების შესახებ კი – საანგარიშო ინფორმაციებით. 1980 წელს ხელმძღვანელობდა თბილისში ჩატარებულ V საკავშირო ვულკანოლოგიურ თათბირს, ხოლო 1982 წელს – მადნეულ საბადოთა გეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის VI სიმპოზიუმს და იყო ამ სიმპოზიუმის მოსკოვსა და შტუტგარტში (გერმანია) გამოცემული შრომების რედაქტორი.

თ. ჯანელიძე უშუალო აქტიურ შემოქმედებით მონაწილეობას ღებულობდა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში შესრულების პროცესში მყოფი მიზნობრივი სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით „საქართველოს ტერიტორიის რეგიონალური გეოლოგიური შესწავლა და პოტენციალური შეფასება წიაღისეულის ფართო სპექტრზე", „მყარი წიაღისეულის რესურსების გამოვლენა და შეფასება ქვეყნის სანედლეულო ბაზების შექმნისა და განმტკიცებისათვის ეროვნული მეურნეობის მოთხოვნათა შესაბამისად", საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების გამოვლენა-შესწავლა, საქართველოს ტერიტორიის ლითომონიტორინგული და სპეციალურ სამხედრო გეოლოგიურ-გეოგრაფიული კვლევები" გათვალისწინებული სამუშაოების დაგეგმვა, ამ სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლისა და მიღებული შედეგების განხილვაში. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ თ. ჯანელიძე თვითონ იყო გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მიზნობრივ დაპროგრამებაზე გადასვლის ინიციატორი.

**თ. ჯანელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს პალეოვულკანოლოგია, მეტალოგენია, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება. იგი არის 80-ზე მეტი გამოქვეყნებული, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით გეოლოგიის დარგში მომზადებულია მრავალი დისერტაცია.**

თ. ჯანელიძე ხელმძღვანელობდა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში მიმდინარე ინტენსიურ მუშაობას „წიაღის შესახებ" საქართველოს კოდექსის შედგენაზე.

ცალკე აღსანიშნავია თ. ჯანელიძის ხელმძღვანელი როლი კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტებში ცალკეულ სამეცნიერო თემების შესრულებაში.

თ. ჯანელიძე საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტია.

ბატონი თამაზი ღმერთმა დააჯილდოვა გამორჩეული პიროვნული თვისებებით: კაცთმოყვარეობით, მაღალი ინტელექტით და სამშობლოს დიდი სიყვარულით. იგი არის შესანიშნავი მეოჯახე და მეგობარი.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ხანგრძლივი სიცოცხლე და კვლავაც მისთვის ჩვეული ნაყოფიერი მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს საინჟინრო აკადემია, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

◎ ნობელიანტები – 2011

# ბედისწერასთან შეურიგებელი

**ლიტერატურაში წლევანდელი ნობელის პრემიის ლაურეატი შვედი პოეტი ტუმას ტრანსტრომერი გახდა. მიკუთვნების ფორმულირება ლაკონური გახლდათ: „იმის მსუყე, გამჭვირვალე სახეთა წიაღ ჩვენ შევძელით რეალობის ახლებურად დანახვა".**

საგულისყუროა, რომ საერთოდ, პოეტისათვის „სანობელო" პატივი შესაბამის კომიტეტს 1996 წლის მერე არ მიუგია (მაშინ ძვირფასი ჯილდო პოლონელ პოეტესას ვისლავა შიმბორსკას ხვდა). მკითხველს შევახსენებთ, რომ შარშანწინ ლიტერატურაში ნობელიანტად გერმანელი მწერალი ქალი გერტა მიულერი მოგვევლინა, ხოლო შარშან – პერუელი მწერალი მარიო ვარგას ლიოსა.



სხვათა და სხვათა შორის, წლევანდელ პრეტენდენტთა რიცხვში შედიოდნენ რუსეთული ლიტერატურის წარმომადგენლები – მწერალი ვიქტორ პელევინი და პოეტი ევგენი ევტუშენკო.

80 წლის ტრანსტრომერი ნობელამდე ლაურეატი იყო პრაქტიკულად ყველა პრესტიჟული ეროვნული თუ არაერთი ევროპული ლიტერატურული პრემიისა – როგორც, მაგალითად, ბელმანის სახელობის, პეტრარკას სახელობისა (რომელსაც გერმანელები ანიჭებენ) თუ ჩრდილოეთ საბჭოს პრემიებია. ის ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან დამკვიდრდა შვედეთისა და მთელი სკანდინავიისაც კი წამყვან პოეტად, უჩვეულო ბიოგრაფიის პატრონიცაა...

ტუმას ტრანსტრომერი 1931 წელს დაიბადა სტოკჰოლმში; 23 წლისამ გამოუშვა პირველი კრებული „17 ლექსი" და უმალვე იწოდა შვედური პოეზიის მთავარ იმედად; 1950-იან წლებში სწავლობდა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში, სადაც ექიმ-ფსიქიატრის პროფესიას დაეუფლა; 1960-იანში უწლოვანთა საპატიმროში მუშაობდა, მოგვიანებით სამუშაო ადგილებზე მძიმედ დაშავებულთ კურნავდა.

ის პარალელურად წერდა ლექსებს, თუმცა სამ-ოთხ წელიწადში თითოთითო კრებულად გამოსცემდა, თანაც პროფესიულად უკრავდა ფორტეპიანოზე. 1980-იან წლებში გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის ელიტის მრავალ წარმომადგენელს, იმათ რიცხვში იოსიფ ბროდსკის, ვინაც ლექსიც მიუძღვნა – „ტუმას ტრანსტრომერი როიალთან"...

1990-ში გადაიტანა მძიმე ინსულტი, დაკარგა მეტყველების უნარი, სხეულის მთელი მარჯვენა ნაწილი პარალიზებული შეექნა; აი, აქ გამოიჩინა ნამდვილი გმირობა – უბედურებას არ მინებდა, ისწავლა მარცხენა ხელით წერა და პიანინოზე დაკვრაც კი, ოღონდ ლექსები ძალიან მოკლე, მინიატიურული გახადა... სიკვდილის თემა სულ უფრო ხშირად აახმიანა...

პოეტმა თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა სტოკჰოლმის დასავლეთით, მენარენის ტბის ნაპირას მდებარე ქალაქ ვესტეროსში. ამჟამად ცოლთან, მონიკასთან ერთად დედაქალაქში სახლობს.

სპეციალისტები ტრანსტრომერს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად მიიჩნევენ, პოეზიის ინგმარ ბერგმანსაც უწოდებენ; იმისი ლექსები 60 ენაზეა გადათარგმნილი, ქართულადაცაა გადმოღებული მანანა კობაიძისა და ზვიად რატიანის მიერ. „ეს ჩემი პოეტია, პირველყოფილი უბრალოებითა და სიღრმისეულობით მხიბლავსო" – ამბობს პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე.

ტუმას ტრანსტრომერი 108-ე ნობელიანტია ლიტერატურის დარგში. აქვე საქთმელად, ლიტერატურაში ეს უდიდესი ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე განუჭვრეტელია მსოფლიოში... დიდი შვედი შემოქმედი დიდსავე ნიჭის საფასურად 10 მილიონ შვედურ კრონს – 1,4 მილიონ დოლარს მიიღებს...

**პუბლიკაცია მოამზადეს ნათია თამარაშვილმა და თამაზ ებანოიძემ**

◎ ინფორმაცია

## საქართველოში ინგლისურენოვან პედაგოგთა მორიგი ნაკადი ჩამოვიდა

**პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში საქართველოში უცხოელ პედაგოგთა ჩამოსვლა გრძელდება.**

გუშინ თბილისში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან უცხოელი პედაგოგების მორიგი ჯგუფი ჩამოვიდა. მოხალისეები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, ირლანდიიდან, პოლონეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან იმერეთის, სამეგრელოსა და კახეთის საჯარო სკოლებში გადანაწილდებიან.

პროექტის ფარგლებში ჩამოსული მოხალისე მასწავლებლები სპეციალურად ამ პროგრამისთვის არიან შერჩეულნი, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება და დიდი სურვილი, ჩაერთონ ქართულ ანალოგიურ პროექტში.

პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" უკვე ერთი წელია წარმატებით ხორციელდება. ინგლისურენოვანი მოხალისე პედაგოგები ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად ასწავლიან.

წლის ბოლომდე საქართველოში 1500 მოხალისე პედაგოგის ჩამოყვანა იგეგმება.

## სომხეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში მანქანის შეძენა მარტივდება

„ვითიბი ბანკ ჯორჯია" და „ვითიბი ბანკ სომხეთი" სომხეთის მოქალაქეებს ერთობლივ საკრედიტო ბარათს „ავტოტრანზიტი" სთავაზობენ.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საცალო ბიზნესის დირექტორმა ვალერი გაბუნიამ განაცხადა, აღნიშნული პროდუქტი მნიშვნელოვანია, რადგან სომხეთი ლიდერია საქართველოდან რეექსპორტირებული მანქანების რაოდენობით.

– ამ შეთავაზებით „ვითიბი ბანკი" ამარტივებს სომხეთის მოქალაქეებისთვის მანქანის შეძენის პროცესს საქართველოში, რაც სტიმულირებას უწევს მანქანების რეექსპორტის ზრდას. ახალი პროდუქტი ხელს შეუწყობს როგორც ქართულ ბაზარზე მოქმედი მანქანების იმპორტიორი კომპანიების ბიზნესს, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, – აღნიშნა ვალერიან გაბუნიამ.

საკრედიტო ბარათ „ავტოტრანზიტის" პირობების მიხედვით, საკრედიტო ლიმიტის დამტკიცება ხდება სომხეთში, რუსთავში ავტობაზრობაზე ავტომობილის შერჩევის შემდეგ, კლიენტი იხდის ავტომობილის ღირებულებას საკრედიტო ბარათით „ავტოტრანზიტი" რუსთავის ბაზრობაზე არსებული „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ფილიალში. ასევე, ავტომობილის შეფასება და გადამოწმება ხორციელდება „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ფილიალში მაქსიმუმ ორი საათის განმავლობაში. იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობა შეუზღუდავია.

საკრედიტო ლიმიტის დამტკიცება ხდება სომხეთის მოქალაქეებისთვის სომხეთში, „ვითიბი ბანკ სომხეთის" მიერ, ხოლო საკრედიტო თანხას გასცემს „ვითიბი ბანკ ჯორჯია". როგორც ვალერიან გაბუნიამ აღნიშნა, მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოდან სომხეთში 140 მილიონი დოლარის ავტომობილია რეექსპორტირებული.

ინტერპრესი

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2011 წლის 18 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ. აუქციონში გამოცხადებული №1 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №1 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] 20 % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] (Cyclamen [illegible]) | 50 000 ([illegible]) | 1 ([illegible]) | 10 000 | 2 000 |
| [illegible] | [illegible] | | | | | |
| [illegible] | | | | | | |
| [illegible] | [illegible] 100 [illegible] | | | | | |
| [illegible] | [illegible] | | | | | |
| [illegible] (CITES) [illegible] | [illegible] | | | | | |
| [illegible] | [illegible] 2008 [illegible] 4 [illegible] | | | | | |
| [illegible] 2011 [illegible] | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | | | | | |

თვალსაზრისი

# სახიფათო თამაშები

(მეოთხე გვერდიდან)

ალიარებულია, რომ მრავალპარტიულობა დემოკრატიის აუცილებელი პირობაა. მავანთა მტკიცებით, საქართველოში არსებული პარტიების სიმრავლეც ნორმალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. **კი ბატონო, თუ დემოკრატია კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მაშინ, პიროვნების ძირითადი უფლებების უზრუნველყოფასთან ერთად რატომ არაფერს ამბობს იგი თვით ამ პიროვნების პასუხისმგებლობაზე საზოგადოების (სახელმწიფოს) წინაშე?(!)**

საქართველოში შექმნილი რეალობა (პარტიების გაუგონარ სიმრავლეს ვგულისხმობ) პოლიტიკური პლურალიზმის ნიშანი ნამდვილად არ არის. აქ უფრო საქმე გვაქვს ზემოთ ხსენებულ **„დაყავი და იბატონეს“** სინდრომთან, რომლისგან განკურნება ერის ისტორიული მისიისკენ შემობრუნების ტოლფასი იქნება!..

ბევრი თვლის, რომ **„პარტიომანიის“** მიზეზი ქართულ ხასიათში უნდა ვეძებოთ, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ე.წ. პირველობის (ლიდერობის) მანია. არის ამაშიც ჭეშმარიტების მარცვალი,. თუმცა, აღნიშნული პრობლემის ცალსახად ქართულ ხასიათზე **„აკიდება“,** სწორი არ იქნება. დიახ, **„პარტიომანიის“** სინდრომი ქართული მოვლენა არ არის. იგი უცხო სხეულივით შემოიჭრა ჩვენს ორგანიზმში და გვფიტავს და გვასუსტებს. თუმცა, როგორც ნებისმიერ სხვა მოვლენას, ამასაც აქვს თავისი წინაპირობა – **ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი კუჭის პრობლემამდე დაეყვანათ, რამაც ჭეშმარიტი ფასეულობების დაკნინებას და ხშირ შემთხვევაში, საერთოდ უგულებელყოფას შეუწყო ხელი** (უფრო სიღრმეებში შესვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს)!

...ზემოთ ჭრელაჭრულა პარტიები ვახსენე. არა აქვს მნიშვნელობა, ასკაციანი იქნება იგი, თუ ასი ათასკაციანი – ყველას თავისი ფუნქცია აქვს. თუ ვინმემ გადაუხვია მაგისტრალურ ხაზს, პარტიის ლიდერები მთელი თავით აგებენ პასუხს თავიანთი „პატრონების“ წინაშე. არც ის არის საიდუმლო, თუ საიდან **„იკვებებიან“** პოლიტიკური ბოსები და მათი ქვეშევრდომები. ამჯერად პარტიების დახასიათებას არ შევუდგები (ისინი ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს), მხოლოდ წლების მანძილზე საკმაოდ ანგაჟირებულ ერთ-ერთ პოლიტიკურ სუბიექტზე – ლეიბორისტულ (შრომის) პარტიაზე და მის ოდიოზურ ლიდერზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას (საერთოდ, პიროვნებებზე ნაკლებად ვსაუბრობ, მაგრამ როცა საქმე პოლიტიკურ პარტიას და მის ლიდერს ეხება, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ).

## ერთი ცოტაა, ასი – ბევრი. მაშ რამდენი?!

თუ რამდენად ზღუდავს ერთპარტიული დიქტატი ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, კომუნისტურმა რეჟიმმა აშკარად დაგვანახა. აქედან გამომდინარე, საკამათო არ არის, რომ ე.წ. **პოლიტიკური პლურალიზმი,** მრავალპარტიულობაში იმალება. თუმცა, მრავალპარტიულობა ასზე მეტი პარტიის არსებობას (მით უმეტეს, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა) ნამდვილად არ უნდა გულისხმობდეს. რამდენადაც ვიცით, დემოკრატიის მექად აღიარებული ქვეყანაც კი მხოლოდ ორად ორი საპარლამენტო პარტიითაა წარმოდგენილი, რაც სრულებითაც არ უშლის ხელს ჯანსაღი კონკურენციის არსებობას და დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯის შექმნას.

ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** ჟურნალისტ **ია ანთაძისთვის** მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია, თუ სამი პოლიტიკური სუბიექტი იქნება წარმოდგენილი პარლამენტში, თუმცა, იდეალურია ორი. შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით რამდენად შესაძლებელია მარტივ მამრავლებად დანაწევრებული პარტიების მსხვილ პოლიტიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბება, წინასწარი პროგნოზის გაკეთება გაგვიჭირდება.

რაც შეეხება **ივანიშვილისვე** განცხადებას, რომ ის უმრავლესობით მოვა პარლამენტში, ჩემთვის ცოტა საეჭვოდ გამოიყურება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რაც საპარლამენტო უმრავლესობების „დამსახურებით“ იწვნია საქართველომ (მით უმეტეს, საშიშია, თუ ის საკონსტიტუციო უმრავლესობაა). **პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი ფორმით მოსული უმრავლესობა ყველაფერს აკეთებს თავისი უფლებამოსილების გასაფართოებლად, რაც უმეტესწილად თანხვედრილი არ არის სახელმწიფოს ინტერესებთან.**

ვფიქრობ, იდეალური ვარიანტია პარლამენტის მანდატების რამდენიმე, 2-3 პარტიაზე გადანაწილება, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობა მხოლოდ კონსენსუსითაა შესაძლებელი...

პარლამენტარის მანდატს შევეხე და აქვე დავამატებ: **მიმაჩნია, რომ საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით უნდა ტარდებოდეს. ეს საშუალებას მოგვცემს ამომრჩეველთა მანდატით აღიჭურვონ ის პიროვნებები, რომელთა ზნეობა და ინტელექტი შეზავებული იქნება კანონშემოქმედებითი საქმიანობის პრაქტიკასთან.** ჩვენთან კი რა ხდება? კენჭს ვუყრით ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებსაც ქვეყნის განვითარების სტრატეგია არ გააჩნიათ, ხოლო, პარტიულ სიებში წარმოდგენილ სუბიექტებს არა აქვთ კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსი (ცალკე თემაა, რა ზნეობის მატარებლები არიან პოლიტიკურ პარტიებში „შეყუჟული“ ინდივიდები და რამდენად ახლოსაა მათი ცხოვრების პრინციპები ქვეყნის ინტერესებთან).

რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, სასურველია, ისინი პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერით სარგებლობდნენ, რაც საშუალებას მოგვცემს ობიექტური აზრი შევიქმნათ ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკურ ამბიციებზე და მათ ქმედუნარიანობაზე.

## საზოგადოებრივი დარბაზი – ხელისუფლებისა და ოპოზიციის მედიატორი

ვფიქრობ, ხელისუფლების საქმიანობის გასაკონტროლებლად უნდა შეიქმნას საზოგადოების ნდობით აღჭურვილი დარბაზი (ეს იდეა ნაწილობრივ ბ-ნ **ბაკურ გულუას** ეკუთვნის, რომელმაც ჩვენს მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში ეროვნული თანხმობის მიღწევის უალტერნატივო საშუალებად **„ბჭობის დარბაზის“** შექმნა მიიჩნია), რომელიც სხვადასხვა პროფესიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უნდა დაკომპლექტდეს. დარბაზი არჩევითი სტრუქტურა იქნება. მასში გაერთიანებული სუბიექტები გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ე.წ. **ქუჩის ოპოზიციამ** თავისი დრო უკვე „მოჭამა“. იგი სიცოცხლისუნარიანი არ არის და ჯანსაღი ოპონირების ნაცვლად მხოლოდ თითიდან გამოწოვილი დეკლარაციებით და ისტერიამდე მისული აქციების ორგანიზებით იწონებს თავს, რომელმაც დამატებითი პრობლემები შეუქმნა ქვეყანას. ისიც ფაქტია, რომ ქუჩის ოპოზიციას, სხვა დანარჩენთან ერთად, არა აქვს ელემენტარული პოლიტიკური კულტურა. ამასთან, არ არის თანამიმდევრული თავის ქმედებებში და შესაბამისად, საზოგადოების დაკვეთას არ ასრულებს!

**სწორედ საზოგადოებრივი დარბაზი უნდა გახდეს ის მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს ხელისუფლების საქმიანობას და მედიატორის ფუნქციას იკისრებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.** თუმცა, გარდა მედიატორობისა, მას უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივისა და პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტების ობიექტური ექსპერტიზის ჩატარების უფლება. ყოველივე ეს გააძლიერებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას და არ მისცემს მას ჩარჩოდან გამოსვლის საშუალებას.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება, ვინ უნდა შექმნას და რა რესურსებით უნდა დაფინანსდეს საზოგადოებრივი დარბაზი?

ვფიქრობ, ინიციატივა საზოგადოების აქტიური (ინტელექტუალური) წევრებისგან უნდა წამოვიდეს. მათ უნდა შესთავაზონ საზოგადოებას „დარბაზის“ საქმიანობის კონცეფცია და ის კანდიდატურებიც, რომლებიც თავიანთი საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, იმსახურებენ საზოგადოების მხარდაჭერას.

რაც შეეხება ფინანსურ უზრუნველყოფას, უპირველესად სათანადო რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიძებნოს. ამასთან, სასურველია, თუ მისი თანადაფინანსება საქველმოქმედო ფონდებიდან და სხვა სახის შემოწირულობებიდან მოხდება. ეს საზოგადოებრივი დარბაზის სტატუსს კიდევ უფრო გააძლიერებს.

## ბოლოთქმა

დღეს მეცნიერები კიბოსა და სხვა უკურნებელი სენის დასამარცხებლად იბრძვიან. არა მგონია, **„პარტიომანია“** ქართველებისთვის დაუმარცხებელი სენი აღმოჩნდეს!

ეს არა მარტო საქართველოს ჯანსაღი მომავლისთვისაა აუცილებელი, არამედ, ერის ღირსების საქმეა. დაგვეთანხმებით, ღირსებააყრილი ერი ვერასოდეს დაიმკვიდრებს ადგილს ცივილიზებულ სამყაროში და უიმედობის ჭაობში ჩაიძირება.

გვეშველება რამე? კითხვა რიტორიკულია, პასუხი მარტივი და კონკრეტული – ჩვენი გასაკეთებელი ჩვენვე ვაკეთოთ, დავდგეთ საკუთარ ამბიციებზე მაღლა და კუჭის პრობლემას ერის სულიერ საუნჯეს და ღირსეულ ტრადიციებს ნუ გადავაყოლებთ!

როგორც გენერალი **ანზორ მაისურაძე** გვარწმუნებს, ჩვენ დიდ თამაშში **„პატარა თოჯინის“** როლს ვასრულებთ. ამ თამაშში ისე უნდა დავხელოვნდეთ, რომ გლობალიზაციის პროცესები ცოტათი მაინც შევარბილოთ, რათა ქვეყანამ თვითმყოფადობა შეინარჩუნოს და ერი გაქრობის საშიშროების წინაშე არ დადგეს.

**დაბოლოს:** წინ უმძიმესი გამოცდა გველის – ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ ჩავაბარებთ ამ გამოცდას!

**ზაურ ნაჭყებია,**
**ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი**

საღამო

# „ისეთი გული რად გინდა, გქონდეს და არა გტკიოდეს...“

**თემურ ჩალაბაშვილი სამებაში დალოცეს. ახალგაზრდული ცენტრის დარბაზი თაყვანისმცემლებს ძლივს იტევდა. 60 წლის პოეტის მოსასმენად მოსულიყვნენ მეგობრები, ახლობელები, ახალგაზრდები, უბნელები...**



მეუფე თადეოზმა პოეტის ლექსს „სანთელი“ სულიერი შედევრი და მარგალიტი უწოდა. შემდეგ მაყვალა გონაშვილმა იუბილარს ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატობა მიულოცა. ეს პრემია მწერალთა კავშირმა ახლახან საგანგებოდ მიანიჭა თემურ ჩალაბაშვილს.

და მართლაც, საპატიოა მისთვის სწორედ ეს პრემია:

**„რად უყვარდა**
**საქართველო ესოდენ –**
**გოჯ მიწაშიც ქართველს**
**არ შეეცილა...**
**... და მამულის შეკრთა**
**მიწა – მტკივანი,**
**მისი ხვედრი მწარე**
**სევდად დარჩა ერს,**
**საქართველო და**
**მთაწმინდის ნიავი –**
**დღესაც ეძებს**
**კვალდაკარგულ მაჩაბელს...“**

კითხულობდა პოეტი და დარბაზი კვლავ და კვლავ ითხოვდა მის ლექსებს, ქართული მიწიდან და ფესვებიდან ნასაზრდოებს – თითქოს კრთებოდა ჰამლეტ გონაშვილის შუბლზე გაჩენილი „ოშკის ბზარები,“ პაპის ხელები, ვით საქართველოს პირვანდელი რუკა, ფიქრები – სისხლით ნაწერი, დრო ჩამსხვრეული თვალში სიზმრებად...ატირებული მუხა, რომელიც მკვდარ ჩიტს ფოთოლს აფარებს...

„თითქოს სიმღერა ეძებს ლექსს, ლექსი ეძებს სიმღერას. მეც ლექსმა მაპოვნინა თემური. დავწერე სიმღერა და არ ვიცოდი, ავტორი ვინ იყო. ვიფიქრე, რომ ხალხურია, და მერე სიმღერამ მიაგნო ავტორს,“ –აღნიშნა მარიკა კვალიაშვილმა. ლექსს „ამას სჯობს“ ჰქვია.

**„ისეთი მიწა რად მინდა**
**სხვის ხელში გადადიოდეს...**
**ამას ჯობია ქართველი**
**სამზეოს არ დადიოდეს...“**

**ტარიელ ხარხელაურმა, ვაჟა აზარაშვილმა და ბაღათერ არაბულმაც** აღნიშნეს, რომ თემური ქიზიყის მადლიანი მიწა-წყლის შვილია და ეს მის პოეზიაში ძალუმად იგრძნობაო. მან ღირსეულად განვლო შემოქმედებითი გზა-სავალი, ორიგინალური ხმით და პოეტური ცხოვრების წესით გამორჩეულიაო.

**ბაღათერ არაბულმა** პოეტს გადასცა ჟურნალ „ცისკრის“ ახალი ნომერი, სადაც თემურ ჩალაბაშვილის 12 რჩეული ლექსია დაბეჭდილი.

პოეტს ნახატით მიულოცა იუბილე საქართველოს სახალხო მხატვარმა ილია პატაშურმა, ერეკლე საღლიანმა თემურს ბედნიერი უწოდა, რადგან ამ მტკივნეულ გულით დაიარება ამ ცის ქვეშეთში – საქმეს გვინახევრებს, ჭირს გვიმსუბუქებს, წუთისოფელს გვიმსუბუქებსო.

„ლექსივით უღალატოა და მისი ლექსიც თემურივით უღალატოა. ერთმანეთს ჰგვანან თემური და მისი ლექსი. ამიტომ გვიყვარს ავტორიც და მისი შემოქმედებაც. ერეკლე საღლიანმა გაიხსენა ის დღეები, როცა კოდორის ხეობაში სამშობლოსათვის დაღუპული მეომრის საფლავზე თემურის ამოტვიფრული ლექსი იხილა – „გამიხარდა, რომ ცეცხლის ხაზზე ჩემი მეგობრის ლექსი იცოდნენ, თითქოს თემურმა მისთვის დაწერა ეს ლექსი!“

60 წლის პოეტს მიესალმნენ: მიმოზა ცანავა, ივანე ჯაფარიძე, მამა პეტრე კვარაცხელია, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, ირმა გურიელი, ელგუჯა ლებანიძე, გიორგი მოსიაშვილი, ნინო მარსაგიშვილი, მარინე თექთუმანიძე, თენგო ავსაჯანიშვილი...

ხელოვნების აკადემიის ვაჟთა გუნდმა, ანსამბლმა „ინანამ,“ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლმა „იავნანამ“ პოეტის ლექსებზე დაწერილი სიმღერები შეასრულეს.

დაბოლოს, ვიდეოეკრანზე გამოჩნდა **თემურ წიკლაური** სიმღერით „აღსდექ საქართველოვ, მართლმადიდებელო!“

ამ სიმღერის მოსმენის შემდეგ უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს უთქვამს: მხოლოდ „აღსდექ საქართველო “ რომ დაეწერა თემურ ჩალაბაშვილს, ამითაც დიდ პოეტად დარჩებოდაო...

**„მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის, თვით სისხლის წვეთებს მწოვენ ქარები...“– რეკავდა ლექსი. გარეთ ნოემბრის ქარიანი საღამო ძვალრბილში ატანდა, დარბაზში კი დიდი სანთელი ენთო, ისეთი სითბო და პოეზიის მუხტი იგრძნობოდა, ასე მეგონა, ჩვენ – ყველანი საქართველოს ჭირისუფლები ვიყავით.**

**თამარ შაიშმელაშვილი,**
დეიკო ლოლაძის ფოტო



◎ კრივი

# მასპინძლებმა ოქრო დაახვედრეს




ქუთაისის სპორტის სასახლეში ახალგაზრდა მოკრივეთა საქართველოს პირველობაში სხვადასხვა რეგიონის 107 წარმომადგენელი მონაწილეობდა 10 წონით კატეგორიაში. განსაკუთრებით რიონისპირელებმა ისახელეს თავი – 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი გაბოძე (თბილისი, 49 კგძ. სარაიკ სანამოვი (თბილისი, 52ძ, ალეკო ლურსმანაშვილი (გორი, 56ძ, გიორგი გელაშვილი (ქუთაისი, 60ძ, ჯემალ შალამბერიძე (ქუთაისი, 64ძ, კონსტანტინე ხვისტანი (ქუთაისი, 69ძ, ბერიკა მხეცაძე (ქუთაისი, 75ძ, ალექსანდრე დოკვაძე (რუსთავი, 81ძ, დათა კვირკველია (ფოთი, 91ძ, მურმან გოგისვანიძე (ქუთაისი, +91ძ.

„ორთაბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. სასიამოვნოა, რომ რინგზე გამოჩნდნენ ახალი სახეები, რომლებმაც სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ზოგიერთი მათგანი ზუგდიდში ეროვნულ ჩემპიონატშიც მოსინჯავს ძალებს. წლის ბოლომდე უნდა დავაკომპლექტოთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გაისად მსოფლიოს პირველობაში საასპარეზოდ, თუმცა ეს არავის აძლევს გუნდში ადგილის დაბევების გარანტიას, რადგან იქნება შეკრებები, სპარინგები და შეჯიბრებისთვის ვინც უკეთ იქნება მომზადებული, მსოფლიოზეც ის გაემგზავრება“, – აღნიშნა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა.

**ლაშა დიდია**

◎ „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა“

# სტარტზეა მეოთხე სეზონი



**20 ნოემბერს სპორტკომპლექს „არენაში“ (ყოფილი არმიის სპორტული კლუბიძ იწყება დარბაზზბურთში საქართველოს მეოთხე სამოყვარულო ჩემპიონატი – „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა“.**

ფუტსალის ეროვნული ასოციაციისა და კომპანია „სი-ბი-ემ ჯორჯიას“ მიერ ორგანიზებული ტურნირი ორ ეტაპად – რეგულარული ჩემპიონატისა და პლეიოფის სახით გაიმართება და გაისად მაისში დასრულდება.

რაც შეეხება მონაწილეებს, ესენი არიან სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გუნდები – პე ეს პე, გიგაბაიტი, სპორტმედია, ნატახტარი, სოკარი, პროგრეს ბანკი, პატრული, სეუ და სხვები.

◎ ძიუდო

# კიმონოიანთა მარშრუტები

**მომავალ შაბათ-კვირას ამსტერდამი, ტრადიციულად, ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელიც სალიცენზიოცაა. გამარჯვებული 200 ქულას დაიმსახურებს, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 120, 80, 60, 40 ქულას. ჰოლანდიური ბატალიები ფინანსურადაც გამორჩეულია. მისი საპრიზო ფონდია 100 000 დოლარი, საიდანაც ჩემპიონი 3000-ს მიიღებს, მეორე და მესამე პრიზიორებს 2000 და 1000 დოლარი ერგებათ.**




შეჯიბრებაში ქართველი ფალავნებიც იჭიდავებენ. ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ მას შემდეგ დაზუსტდება, რაც სამოადან დაბრუნდება მთავარი მწვრთნელი პეტერ ზაიზენბახერი. დღეისთვის ჩვენებურთა სავარაუდო სია კი ასეთია: ამირან პაპინაშვილი (60ძ, ლაშა შავდათუაშვილი (66ძ, ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი (73ძ, ავთანდილ ჭრიკიშვილი (81ძ, ვალერი ლიპარტელიანი (90ძ, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ, ზვიად ხანჯალიაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი (+100ძ. ტიტების ქვეყანაში ტურნირის დამთავრების შემდეგ ზაიზენბახერი იაპონიაში ოთხკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე პაპინაშვილს, ტატალაშვილს, ჭრიკიშვილს, გუჯეჯიანსა და ზურაბ ზვიადაურს (მწვრთნელის სტატუსითძ წაიყვანს. რატომ მხოლოდ ამ მოჭიდავეებს, ჯერჯერობით გაურკვეველია.

**ლექსო ცინცაძე**

◎ დაბრუნება



# ვამბობთ ერთს, ვგულისხმობთ სამს

**როგორც ჩანს, გოგიტა გოგუას ექვსწლიან რუსულ კარიერას („ხიმკი“, ნალჩიკის „სპარტაკი“, „სატურნი“, „ტერეკი“ და „ვოლგა“ძ დროებით მაინც წერტილი დაესმევა.**

საუბრები სამშობლოში მისი დაბრუნების თაობაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც ეროვნული ნაკრების თავკაც თემურ ქეცბაიას მიერ შერისხული ნახევარმცველი თანამემამულეებთან ლაშა სალუქვაძესთან და გოჩა ხოჯავასთან ერთად ნიჟნი ნოვგოროდის კლუბის ხელმძღვანელობამ „დუბლებში“ დააქვეითა.

ქართული ტრიო ჩრდილოელებთან ხელშეკრულების გაწყვეტას წლეულსვე აპირებს და თავისუფალი აგენტის სტატუსი ექნება, მისი შეძენა კი თბილისის „დინამოს“ სურს. როგორც შევიტყვეთ, ყველაზე ახლოს კონტრაქტთან სწორედ გოგიტა გოგუაა, დანარჩენებთან კი მოლაპარაკებები გრძელდება.

◎ ლეგიონერი

# იანვარიც მალე მოვა



**ლევან ყენიამ უკანასკნელად ორი წლის წინათ – 2009 წლის 25 ოქტომბერს ითამაშა და, ქრონიკული ტრავმით გატანჯულმა, ამ პერიოდში კოჭზე სამი ოპერაცია გაიკეთა.**

როგორც შევიტყვეთ, მდგომარეობა თურმე ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, სასიკეთოდ იცვლება. კერძოდ, 21 წლის უნიჭიერეს ქართველ ნახევარმცველს ტკივილები აღარ აწუხებს და დატვირთვებსაც ინტენსიურად ზრდის, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი კვირის წინათ უკვე ბურთსაც კი შეეხო.

იგი გელზენკირხენის სიახლოვეს, ჩვენთვის ასე ტკბილად მოსაგონარ ქალაქ დიუსელდორფში ინდივიდუალურად, საგანგებოდ მისთვის გაწერილი გეგმით ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, „შალკეს“ იანვარში დაუბრუნდება. ღმერთმა ინებოს!

◎ ფეხბურთი

# მესი – წლის ადამიანი?

**ესპანური „ბარსელონასა“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი ლიონელ მესი ყველაზე პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა Time წამოაყენა „წლის ადამიანის“ ნომინაციაში. ტრადიციულად ჟურნალი გამარჯვებულს დეკემბრის ბოლო ნომერში ასახელებს. ეს ნომინაცია ენიჭება 1927 წლიდან, როდესაც ეს წოდება მიენიჭა მფრინავ ჩარლზ ლინდბერგს, მარტოდმარტო რომ გადაუფრინა ატლანტიკას.**

ჟურნალში, სადაც შეიძლება მოწონებული კანდიდატისთვის ხმის მიცემა, წერია: „ეს ფეხბურთელია, ვინც თავისი გარშემო აერთიანებს მილიონობით გულშემატკივარს მთელი მსოფლიოდან. მესი არის თავისი თაობის საუკეთესო მოთამაშე. თავის თანამემამულე დიეგო მარადონასგან განსხვავებით მას არ მოუგია მსოფლიო თასი, მაგრამ მოიგო ყველაფერი თავის კლუბთან ერთად. ახლა ის მესამე „ოქროს ბურთისკენ“ მიდის. ის ერთი იმ სპორტსმენთაგანია, ვისი წყალობითაც ფეხბურთი გახდა სპორტის ყველაზე პოპულარული სახე მსოფლიოში“.




მესის გამარჯვება ძნელი დასაჯერებელია, რადგან მისი კონკურენტების სიაში მილიონების (თუ არა მილიარდისძ კერპი სტივენ ჯობსია, რომელსაც ეს წოდება, შესაძლოა, ყოფილი დამსახურებისთვის სიკვდილის შემდეგ მიანიჭონ. კანდიდატების სიაში არიან აგრეთვე იტალიის ექს-პრემიერი სილვიო ბერლუსკონი, აშშ წარმომადგენელთა პალატის წევრი არიზონის შტატიდან გაბრიელ გიფორდსი, თავში ტყვიის მოხვედრის შემდეგ რომ გადარჩა, აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სხვა პოლიტიკოსები.

◎ ტრანსფერი

# ეს უკვე აღიარებაა



**სეზონის აღმოჩენა, უკრაინის „ოლექსანდრიასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების 22 წლის გარემარბი დავით თარგამაძე პორტუგალიურ გრანდ „პორტუსთან“ წინასწარ კონტრაქტს ნოემბრის ბოლოს გააფორმებს, ხოლო მის სარბიელ „დრაგაუზე“ საბოლოოდ მომავალი წლის დასაწყისში, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისას გადაბარგდება (სხვათა შორის, დათოს მიმართ ინტერესს ორი უკრაინული კლუბი და მოსკოვის „დინამოც“ იჩენდნენძ.**

მან ლუზიტანიელ სელექციონერებს თავი „ევრო-2012“-ის შესარჩევ ტურნირში „ჯვაროსანთა“ და ბერძენთა მატჩში მოაწონა, რომელშიც ტრავმის გამო შეცვალეს.

მაღალი სისწრაფე, ტექნიკა, არაორდინარული დრიბლინგი და შრომისუნარიანობა – აი, ის თვისებები, რომელთა გამოც პერეირამ ჩვენი თანამემამულე მიიწვია.

◎ ინტერნეტიდან

## გაიმარჯვა ჰემილტონმა

**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი „რედ ბულიდან“ სებასტიან ფეტელი, ადრე უკვე რომ გაინაღდა „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება, მაინც მონაწილეობდა ბოლოსწინა ეტაპზე აბუ-დაბიში, თუმცა საბურავის დაზიანების გამო ის ფინიშამდე ვერ მივიდა.**

ამჯერად ფინიშთან პირველი იყო „მაკლარენას“ პილოტი ლიუისი ჰემილტონი. მეორე საფეხურზე ფერნანდო ალონსო ავიდა „ფერარიდან“, მესამე კი ჰემილტონის თანაგუნდელი ჯენსონ ბატონი იყო. თუმცა პილოტების პირველი ხუთეულის განლაგება არ შეცვლილა. საბოლოოდ მეორე ადგილისთვის პრეტენზიას აცხადებენ ბატონი, ალონსო და ეუბერი. აბი-დაბიში გამარჯვების მიუხედავად ჰემილტონი ვერ გახდა ვიცე-ჩემპიონი.



## ხუთი „ოქრო“ – სამ დღეში

**დიახ, გასულ უქმეებზე ამერიკულ მინეაპოლისში გრანპრის გათამაშებაზე სამ დღეში ხუთი ოქროს მედალი მოიხვეჭა იქაურმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა. თავისი მეხუთე „ოქრო“ ფელპსმა მოიპოვა, 14 ნოემბრის ღამით 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. მისი შედეგი იყო 1 წუთი და 57,58 წამი. მეორე ადგილზე გასულ დარიან ტაუნსენდს მან 4 წამით აჯობა.**



პირველ ორ დღეს კი ფელპსმა გაიმარჯვა 100 და 200 მეტრიან დისტანციაზე ბატერფლაით, 200 მეტრზე – თავისუფალი სტილით და 200 მეტრზე – პირალმა ცურვით.

ფელპსის განცხადებით, მისი მზადება 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ძალზე კარგად მიდის. ის კმაყოფილია არა მარტო ოქროს მედლებით, არამედ ნაჩვენები შედეგებითაც.

თავისი კარიერის განმავლობაში ფელპსს მოგებული აქვს 14 ოლიმპიური მედალი და ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია. 2008 წელს პეკინში მან 8 ოლიმპიური მედალი მოიხვეჭა. ადრე ასეთი რამის გაკეთება ვერავინ შეძლო.

## კვიტოვა – საუკეთესო

**ჩეხი პეტრა კვიტოვა აღიარეს 2011 წლის საუკეთესო ჩოგბურთელად ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTAძ ვერსიით.**



კალენდარული წლის მანძილზე კვიტოვამ მოიგო ერთეულთა ექვსი ტურნირი, მათ შორის უიმბლდონის და WTA ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირი, იმავე დროს დიდი წვლილი მიუძღვის ფედერაციის თასზე ჩეხეთის გამარჯვებაში.

სეზონი 38-ე საფეხურზე რომ დაიწყო, პეტრამ მიაღწია მეორე საფეხურამდე დანიელი ჩოგბურთელის კაროლინ ვოზნიაცკის შემდეგ.

დედაქალაქი

# რატომ ჩეხენ ხეებს და რატომ თხრიან ორმოებს?

**მწვანე ნარგავების რაოდენობით თბილისი თითქმის ხუთჯერ ჩამოუვარდება ნორმატიულად გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, დედაქალაქში ათეულობით რეკრეაციული პარკი გაუქმდა. ხეები ისე იჩეხება, რომ იქვე გვერდით მცხოვრებ ადამიანებს არაფერს უხსნიან.**

„კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების გაჩეხვას და უკანონო მშენებლობას აპროტესტებს.



ჩხარტიშვილმა უკანონო პროცესის შეჩერების მოთხოვნით იპოდრომთან საპროტესტო აქცია გამართა.

მისი თქმით, ტერიტორიაზე 20-მდე ხე არის გაჩეხილი. რაც შეეხება მშენებლობას, ჩხარტიშვილის განცხადებით, არ არის იმის აღმნიშვნელი აბრა, თუ რას აშენებენ ამ ტერიტორიაზე.

როგორც ჩხარტიშვილი განმარტავს, იპოდრომის ტერიტორიის ნაწილის მფლობელია კულტურის მინისტრის ნიკა რურუას ძმა, გიორგი რურუა, მშენებლობას კი კურირებს გია უდესიანი.

ლაშა ჩხარტიშვილის აქციაბრიფინგს შეუერთდნენ ასევე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც მოითხოვენ, აუხსნან თუ რას აშენებენ ამ ტერიტორიაზე.

„აგვიხსნან, იქნებ კარგ რამეს აშენებენ და ჩვენთვისაც მისაღები იყოს. უბრალოდ, მოვითხოვთ ახსნა-განმარტებებს, რატომ ჩეხენ ხეებს და რატომ თხრიან ორმოებს“, – აცხადებენ ადგილობრივი მცხოვრებლები.

ხეების ჩეხვა, რეკრეაციული ზონების განადგურება, მანქანების საწვავის გამონაბოლქვი, ფერადი „პარკებით“ „მორთული“ ხეები, მოუწესრიგებელი სადარბაზოების ბუნკერები და ა.შ. – ყველაფერი ეს ჩვენი დედაქალაქის პრობლემაა.

საკმარისია დედაქალაქს მაღლობიდან გადმოხედო, რომ ნისლად ქცეული მტვერი და კვამლი უმალ თვალში მოგხვდება.

თბილისში გარემოს ყველაზე მეტად საწვავის გამონაბოლქვი აბინძურებს. უკანონო მშენებლობების შედეგად გაჩეხილი ტყეები ჩვენს მოსახლეობას სუნთქვის საშუალებას ურთულებს.

ექსპერტთა განმარტებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პარლამენტში ყველა ის კანონი დამახინჯდა, რომლებიც შევარდნაძის პერიოდში მიიღეს და გარემოს დაცვას ითვალისწინებდა. ასევე გაუქმდა კანონი, რომელიც მდინარე მტკვარში დაბინძურებული ნახმარი წყლების გაუფილტრავად ჩაშვებას კრძალავდა.

მაშინ როცა ბენდუქიძემ საქართველოს ტყეების გასხვისება დაიწყო, პოლიტიკურმა ოპოზიციამ ეს გააპროტესტა და მეტნაკლებად შეაჩერა, მაგრამ ამ დროს თბილისის ტყეების გაყიდვის შესახებ კანონი გააპარეს პარლამენტში.

დღეს თბილისში უამრავი უკანონო მშენებლობები მიმდინარეობს მწვანე ზოლზე, სადაც კანონით არ შეიძლება მშენებლობები. საწვავი, რომელიც ტყვიას შეიცავს, უნდა იკრძალებოდეს, მაგრამ ამ სფეროში კორუფცია ისევ არსებობს და ადამიანის ჯანმრთელობაზე სახელმწიფო არ ზრუნავს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოლოგიური სამართლის ცენტრი ამ სფეროში მუშაობს და ყველა დარღვევას იურიდიულად განიხილავს. მოქმედებს ცხელი ხაზი და მოსახლეობა ეკოლოგიური პრობლემების შესახებ მათ უკავშირდება.

ცენტრის მტკიცებით, თბილისში არსებული პარკების ნაწილი თავის ფუნქციას ველარ შეინარჩუნებს და შესაძლოა ისინი ინვესტორების კომერციულ ინტერესებს შეეწირონ. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში არსებული პარკები 49-წლიანი მართვის უფლებით კერძო ინვესტორებს გადაეცემათ.

ამ ეტაპზე ბიზნესპროექტი 5 პარკზეა მომზადებული. მათგან წითელი ბაღი და მუშთაიდის ბაღი უკვე გადაეცა კომპანია „ჯეოგოლდს“, რომელიც, ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მტკიცებით, თბილისის საკრებულოს წევრს ნაციონალური მოძრაობიდან ალექსანდრე ნიკოლაიშვილს ეკუთვნის. მათივე ინფორმაციით, უახლოეს მომავალში აღნიშნულ პარკებში სხვადასხვა ტიპის მშენებლობის დაწყება იგეგმება.

ამის თქმის საფუძველს იძლევა ახლახან „ჯეო-გოლდთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულებას გრიფი „საიდუმლო“ ადევს და, შესაბამისად, არავის აქვს საშუალება, რომ კონტრაქტის დეტალებს გაეცნოს.

ხმაური თბილისში არსებული პარკების გარშემო ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, 2009 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მაშინ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ტერიტორიაზე 40-მდე გამწვანებულ ტერიტორიას რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა.

გარემოს დამცველები მიიჩნევენ, რომ ბოლო წლებში თბილისში კატასტროფულად შემცირდა გამწვანების ზოლები, ბაღების, პარკებისა და სკვერების ფართობები. მწვანე ნარგავთა რაოდენობით თბილისი თითქმის ხუთჯერ ჩამოუვარდება ნორმატივებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

„კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის“ პროექტის კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი ამბობს, რომ მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებები ქალაქში არსებულ რეკრეაციულ ზონებსა და გამწვანებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის:

„ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თბილისი, ჰაერის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქი იყო. გარდა ამისა, არ იყო სახარბიელო მდგომარეობა გამწვანების კუთხითაც. საბჭოთა პერიოდის შემდეგ კი კიდევ უფრო უარესი და უარესი მდგომარეობაა. ამაზე მეტყველებს თუნდაც 2009 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ათეულობით რეკრეაციული პარკი გაუქმდა“.

ეკოლოგიური სამართლის ცენტრი მოუწოდებს თბილისის მერიას, რომ არ გასცეს ნებართვა პარკებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა თუ სასტუმრო-რესტორნების მშენებლობაზე. თბილისის მერიაში თავს არ იწუხებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთონ.

**მერაბ ბრეგაძე**

ჩვენი კარაბადინი

## მოზარდებმა უნდა იძინონ



**მელატონინის უკმარისობის გამო მოზარდები, ვინც ღამის საათებში მუშაობენ, ეწევიან რისკს ასაკთან ერთად დაავადდნენ გაფანტული სკლეროზით.**

მუშაობის ღამის გრაფიკი საწინაალმდეგო მაჩვენებელია ახალგაზრდა ორგანიზმისთვის, მიაჩნიათ შვედ მეცნიერებს. 20 წლამდე 14000 ახალგაზრდაზე დაკვირვების დროს მკვლევარებმა მათში აღმოაჩინეს პრობლემები ძილთან დაკავშირებით. როგორც წესი, ღამით იძულებული არიან იმუშაონ სტუდენტებმა, რომლებსაც არ ყოფნით სახსრები ღირსეული არსებობისთვის. ძილის უკმარისობის გამო გაფანტული სკლეროზით დაავადების ალბათობა იზრდება ორჯერ! მაგრამ, მეცნიერების აზრით, ღამის გრაფიკი ზრდასრული ადამიანების ჯანმრთელობაზე პრაქტიკულად არ აისახება. გაფანტულ სკლეროზამდე მივყავართ არა მხოლოდ გამოუძინებლობას. მოწევამ, ვიტამინ D-ს უკმარისობამ, მემკვიდრეობითობამ და გართულებებმა ინფექციური დაავადებების შემდეგ ასევე შეიძლება მიგვიყვანოს ფსიქიკის მოშლილობამდე.

## კომპიუტერი ტვინს აშრობს

**მეცნიერები ბრიტანეთის სამეფო ინსტიტუტიდან აცხადებენ, რომ ადამიანს, ვინც დიდ დროს ატარებს კომპიუტერის წინ, ეცვლება ტვინი. კომპიუტერული თამაშები გავლენას ახდენენ ტვინში გარკვეულ ნერვულ კავშირურთიერთობებზე და ის იწყებს ადაპტირებას ახალ გარეშე გარემოზე. მეცნიერები ურჩევენ ბავშვებს არ ისხდნენ მონიტორებთან, არამედ უფრო მეტად ისეირნონ. კომპიუტერული თამაშები იწვევენ გაზრდილ აღგზნებას და ააქტიურებენ ტვინის იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მიდრეკილებასთან და ჯილდოსთან.** შედეგად ადამიანი იწყებს მხოლოდ თამაშით გართობას, საქმიანობის სხვა მხარე კი მისთვის მიმზიდველი აღარ არის. კომპიუტერული თამაშებით გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესია და უბიძგოს ასოციალური საქციელისკენ. ინტერნეტზე დამოკიდებულ ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ ცვლილებები ტვინის სტრუქტურებში და დაეწყოთ ნაცრისფერი ნივთიერების გამოშრობაც. აი იაპონელმა მეცნიერებმა კი 10 წლის წინათ განაცხადეს, რომ კომპიუტერული თამაშები სტიმულს აძლევენ ტვინის იმ უბნებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოძრაობასა და მხედველობაზე. დანარჩენი უბნები კი განუვითარებლები რჩებიანო.

## როდესაც ზაფხულს ვიხსენებთ

**როდესაც ქუჩაში თოვლჭყაპიანი შემოდგომაა, როგორ გინდა, რომ კვლავ ჩაფლული იყო ყვავილებისა და ახალი ხილის არომატში. ამის გაკეთების ყველაზე მარტივი ხერხია – გამოიყენო არომათერაპია.**

მცენარეთა ეთეროვან ზეთებს შეუძლია გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ განწყობილებასა და ორგანიზმის ტონუსზე, არამედ დაგვეხმაროს კიდეც სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკაშიც, ზეთი ხომ სამკურნალო მცენარეების ყველა სასარგებლო თვისებებს შეიცავს. თქვენ სავსებით დამოუკიდებლად შეგიძლიათ მოიწყოთ არომათერაპიის სეანსები შემოთავაზებული ხერხებიდან.

**არომალამფები.** ეს არის შანდალი ანუ პატარა ლანგარი, რომელსაც ქვემოდან ათბობს სანთლის ალი. ლანგარზე ასხამენ ცოტა წყალს და რამდენიმე წვეთ არომატულ ზეთს. როდესაც სანთელი ანთია, ზეთი იწყებს აორთქლებას და თქვენ სუნთქავთ მის ორთქლს. შინაგანი ორგანოების, სასუნთქი გზების, სტრესების და გადაღლის მკურნალობა შეიძლება არომალამფის დახმარებით, აგრეთვე თუ საჭიროა იმუნიტეტის გაძლიერება და ორგანიზმის ტონუსის ამაღლება.

**აბაზანები.** შეიძლება მოვამზადოთ აბაზანა არომატული ზეთით. საკმარისია წყალში ჩავაწვეთოთ ცოტა ზეთი (5-6 წვეთიძ, ოდნავ „ავურიოთ“ წყალში, რომ ზეთი ერთ ადგილას არ მოგროვდეს და ჩავწვეთ შიგ 20-30 წუთით. ასეთი აბაზანები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ კანზე, კარგია გაციების, შესუსტებული იმუნიტეტის დროს და კოსმეტიკური მიზნებით.

**კომპრესები და დაზელვა.** 3 წვეთ ეთერზეთს აზავებენ 10 მილილიტრ სპირტში და იდებენ მტკივნეულ ადგილზე 10-15 წუთის განმავლობაში ან იზელენ სხეულის გარკვეულ მონაკვეთს. კომპრესები კარგია კანზე ანთების, თავის ტკივილის დროს, ან დაზელვა შეიძლება დაგვეხმაროს სახსრების ტკივილების გასაყუჩებლად.

არ იქნებოდა ზედმეტი გავცნობოდით ზოგიერთი ეთერზეთის თვისებებს.

**● ჟასმინის ზეთი დადებით გავლენას ახდენს ნერვული სისტემის მუშაობაზე. ის ახდენს თავის ტვინის საქმიანობის სტიმულირებას, თავიდან გვაშორებს დეპრესიას და განგაშის გრძნობას.**

**● ლავანდის ზეთს იყენებენ კანის დაავადებათა სამკურნალოდ (ეგზემა, დერმატიტი, სოკოვანი დაავადებანი). ტკივილის მოსახსნელად და დამწვრობის, ჭრილობების შესახორცებლად. ლავანდის ორთქლის შესუნთქვა გვეხმარება თავი გავართვათ უძილობას და ცუდ გუნება-განწყობილებას. აბაზანები ლევანდის ზეთით ეფექტიანია გაციების, რადიკულიტისა და ნევრალგიის დროს, ამსუბუქებს ტკივილებს მენსტრუაციისა და კლიმაქსის დროს. ზეთიან აბაზანებს ფეხებისთვის იყენებენ დაღლილობის მოსახსნელად, იგი თავიდან გვაცილებს სუნის გაჩენას და ოფლიანობას.**



**● მანდარინის ზეთს აქვს მაცოცხლებელი მოქმედება, მისი არომატის შესუნთქვა გვეხმარება საკვების გადამუშავების პრობლემების დროს.**

**● როზმარინის ზეთის აბაზანა ასუფთავებს კანს და მას ხდის უფრო რბილს და ხავერდოვანს.**

**● ვარდის ზეთი ბევრი კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობაში შედის. ის აახალგაზრდავებს კანს, ზრდის მის ელასტიურობასა და სიმკვრივეს, აწესრიგებს ქონის ჯირკვლების მუშაობას, აუმჯობესებს კანის ფერს.**

ინფორმაცია

## სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია

**როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი და 30 მგზავრზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დროებით აკრძალულია.**

**დიდი თოვლის გამო, საავტომობილო გადაადგილება შეუძლებელია გოდერძის უღელტეხილზე.**

**რაც შეეხება ქვეყნის სხვა ცენტრალურ მაგისტრალებს, საავტომობილო გადაადგილება თავისუფალია.**

## 9 წლის გოგონა ჯიპმა გაიტანა

**ბავშვი გზაზე მწვანე შუქზე გადადიოდა, როდესაც დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანა შეეჯახა.**

**გორგასლის გამზირზე მომხდარი ტრაგედიის თვითმხილველები ყვებიან, რომ ავტომანქანის მძღოლმა მოძრაობის წესები დაარღვია და გზაზე გადასასვლელი, სადაც ამ დროს ქვეითად მოსიარულეები მოძრაობდნენ, უკანონოდ გადაკვეთა და გოგონას შეეჯახა.**

**მოზარდი ადგილზე დაიღუპა. თვითმხილველების ინფორმაციით, მძღოლი პოლიციას თავად ჩაბარდა.**

## 4-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

**სამსუნის სასამართლომ თაღლითობაში ეჭვმიტანილ ქართველ ქალს 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ინფორმაციას ამის შესახებ თურქული მედია ავრცელებს.**

**საქართველოს მოქალაქე ქალბატონს, რომელიც თურქულ გამოცემებში ეკატერინა ბიდ არის მოხსენიებული, ბრალი ყალბი პირადობისა და საკრედიტო ბარათების გამოყენებაში ედება.**

**გავრცელებული ცნობით, ყალბ დოკუმენტებს ის თავად ამზადებდა. ეკატერინა ბი უკვე გადაიყვანეს სამსუნის ქალთა პროვინციაში.**

ინტერპრესნიუსი

ტესტი

# რეალური ასაკი

**ჩვენი ტესტის დახმარებით გაიარეთ „კომპლექსური გამოკვლევა“, რომ გაიგოთ თუ მართლა რამდენი წლისა ხართ.**

### სამედიცინო კაბინეტში

**1. რამდენჯერ გაცივდით უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში?**
ა) არც ერთხელ – 0,
ბ) 1-2-ჯერ – 1,
გ) ორჯერ, მაგრამ მაგრად – 2,
დ) ძალიან ხშირად – 3.

**2. თუ გაქვთ ქრონიკული დაავადება?**
ა) რამდენიმე და უკვე დიდი ხანია – 3,
ბ) ისეთი, რომელიც წამლის მუდმივ მიღებას მოითხოვს – 2,
გ) არის ისეთი, რომელიც მოითხოვს წამლის მიღებას გამწვავების პერიოდში – 1,
დ) არა – 0.

**3. დადექით ცალ ფეხზე, დახუჭეთ თვალები და დაიწყეთ დათვლა. სადამდე დაითვლით, ვიდრე წონასწორობას დაკარგავდეთ?**
ა) 30-მდე და მეტს – 0,
ბ) 21-დან 29-მდე – 1,
გ) 11-დან 20-მდე – 3,
ე) მოასწარით მხოლოდ „ერთის“ თქმა თუ საერთოდ ესეც ვერ მოასწარით – 4.

**4. დაიწყეთ წინ 15 სხვადასხვა საგანი. 30 წამის განმავლობაში შეეცადეთ დაიმახსოვროთ ისინი. ახლა შემობრუნდით და სწრაფად დაასახელეთ, თუ რა ეწყო მაგიდაზე**
1) დაასახელეთ 1-3 საგანი – 4,
ბ) გაიხსენეთ 4-დან 6 საგნამდე – 3,
გ) დაასახელეთ 7-10 საგანი – 2,
დ) გაიხსენეთ – 11-13 – 1,
ე) დარწმუნებით დაასახელეთ 14 ან ყველა 15 საგანი – 0.

**5. გადგით ფეხები მხრების სიგანეზე და დაიხიშნეთ დრო: რამდენჯერ დაიხრებით 1 წუთის განმავლობაში?**



ა) 40-ჯერ და მეტჯერ – 0,
ბ) 29-39 – 1,
გ) 15-28 – 2,
დ) 14-მდე და უფრო ნაკლებად – 3,
ე) ვერც ერთხელ – 4.

**6. რომელ სართულამდე ახვალთ კიბეზე ფეხით თავისუფლად?**
ა) მაქსიმუმ ერთ მონაკვეთს – 4,
ბ) ნელა მეორე სართულამდე – 3,
გ) შესვენებებით მეხუთემდე – 2,
დ) შეუსვენებლივ მეცხრემდე – 1,
ე) ადვილად მეთორმეტე სართულამდეც ავალ – 0.

**7. თუ გაქვთ ზედმეტი წონა?**
ა) არა – 0,
ბ) 1-2 კილოგრამს ხან ვიმატებ, ხან თავისით ვიკლებ – 1,
გ) 5-7 კილოგრამი შეიძლებოდა დამეკლო – 2,
დ) ზედმეტი წონა 8-14 კილოგრამი მაქვს – 3,
ე) მჭირდება გავხდე 15 და მეტი კილოგრამით – 4,

**8. თუ გახსოვთ სკოლაში ნასწავლი ლექსები ზეპირად?**
ა) არა – 3,
ბ) მხოლოდ ცალკეული სტრიქონები – 2,
გ) რამდენიმე ლექსი შეიძლება გავიხსენო – 1,
დ) პრაქტიკულად ყველა მახსოვს – 0.

**9. ეწევით?**
ა) 10 წელზე მეტია – 4,
ბ) 5 წელზე მეტია – 3,
გ) ვეწევი დაახლოებით ერთი წელია ან მეტი – 2,
დ) დავანებე თავი – 1,
ე) არ ვეწევი და არც არასოდეს ვეწეოდი – 0.

### ფსიქოლოგთან

**1. შეგიძლიათ კომპიუტერის გამოყენება?**
ა) მე კომპიუტერზე ვმუშაობ და ყოველთვის ვითვისებ ახალ პროგრამებს – 0.
ბ) შემიძლია მარტივი ოპერაციების შესრულება – 1,
გ) ძლივს ვისწავლე ბეჭდვა და ინტერნეტში შესვლა, მეტი არც მჭირდება – 2,
დ) არ შემიძლია – 3.

**2. წარმოიდგინეთ, რომ ცნობილ ტელეგადაცემაში მოიგეთ 10 მილიონი. რაში დახარჯავდით მას?**
ა) უძრავი ქონების შეძენაში – 1,
ბ) გართობაში, მოგზაურობაში, ახალი ტანსაცმლის შეძენაში – 0,
გ) უმეტეს ნაწილს მივცემ ბავშვებს (მახლობლებს) და ცოტას ჩემთვის დავიტოვებდი – 2,
დ) ცოტას გამოვიყენებდი „ცხოვრებისთვის“, დანარჩენს „შავი დღისთვის“ შევინახავ – 3,

**3. როგორ გადაგაქვთ მღელვარება და სტრესები?**
ა) ადვილად ვფეთქდები ნებისმიერი საბაბის გამო, შედეგად მეწევა წნევა, მეზრდება გულისცემა, შემდეგ დიდხანს მჭირდება მკურნალობა – 3,
ბ) ადვილად გამოვდივარ მწყობრიდან, მაგრამ საკმაოდ სწრაფად ვუმკლავდები მღელვარებას – 1,
გ) შემიძლია საკმაოდ დიდხანს არ გამოვამჟღავნო გაღიზიანება – 2,
დ) ადვილი როდია ჩემი მწყობრიდან გამოყვანე – 0.

### სილამაზის სალონში

**1. როგორი გაქვთ კანის ფერი?**
ა) ნორმალური – 0,
ბ) მიწის შეფერილობის, პარკებით ან შავი წრეებით უპეებში – 3,
გ) მკრთალი, უპეებში ოდნავ შეინიშნება სილურჯე – 1,
დ) არაჯანსაღად წითელი, თითქოს სიცხე მქონდეს – 2.

**2. როგორ აისახება თქვენში უძილო ღამე?**
ა) მე ისედაც ცოტა მძინავს – 3,
ბ) სრულიად განადგურებული ვარ – 2,
გ) სილურჯე უპეებში, მტკივა თავი, კარგად ველარ ვაზროვნებ – 1,
დ) მხოლოდ ერთი რამით: ძალიან მეძინება – 0.

**3. როგორ გამოიყურება თქვენი კანი კისერზე და დეკოლტეს მიდამოებში?**
ა) გადატკეცილია, თანაბარი, უნაოჭებო – 0,
ბ) გადატკეცილია, მაგრამ არის პრობლემებიც (მუწუკები, ლაქები...) – 1,
გ) არის ნაოჭები კისერზე, კანი აქერცლილი... – 2,
დ) საკმაოდ მოშვებულია – 3.

**4. ხშირად ირუჯებით?**
ა) არ მიყვარს გარუჯვა, პლაჟზე ტენტის ქვეშ ვზივარ – 0,
ბ) ცუდად ვირუჯები, ამიტომ რეგულარულად დავიდვარ სოლარიუმში – 1,
გ) ზაფხულობით ვცდილობ, რომ კანი კარგად გამოიყურებოდეს – 2,
დ) როგორც კი დაიწყება სეზონი, ვცდილობ ხშირად ვიყო მზეზე, რომ უკეთესად „შევიბრაწო“ – 3.

## დაავიანგარიშოთ ქულები

**45-51 ქულა – თქვენ 61 ან მეტი წლისა ხართ**
**40-44 ქულა – 56-60 წელი**
**35-39 ქულა – 50-55 წელი**
**28-34 ქულა – 44-49 წელი**
**20-27 ქულა – 39-44 წელი**
**13-19 ქულა – 35-39 წელი**
**6-12 ქულა – 30-35 წელი**
**0-5 ქულა – თქვენ 29 წლის ან უფრო ახალგაზრდა ხართ.**

**ახლა შეადარეთ ერთმანეთს თქვენი საპასპორტო და ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასაკი. რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?**

**1-2 წლით აქეთ-იქით – სავსებით დასაშვები სხვაობაა. თქვენ უნდა ეცადოთ შეინარჩუნოთ ის ფორმა, რომელიც ახლა გაქვთ.**

**3-დან 9 წლამდე – თუ პასპორტით უფრო ახალგაზრდა ხართ, ეს სხვაობა არის საბაბი, რომ გადახედოთ თქვენს ცხოვრებას.**

**10-დან 15 წლამდე – ასეთი სხვაობა ბიოლოგიურ და კალენდარულ ასაკს შორის (არა თქვენს სასარგებლოდ) ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმის შესახებ, რომ თქვენ მოეშვით. რა მაჩვენებლებით აგებთ საკუთარ ასაკთან: არის კანის, იმუნიტეტის პრობლემა თუ ფსიქოლოგიური გადაღლილობა? ეს აუცილებლად აისახება ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე.**

**16 წლიდან – აუცილებლად უნდა გაიაროთ სერიოზული სამედიცინო გამოკვლევა. ხოლო თუ იცით თქვენი პრობლემები – იფიქრეთ მათს გადაჭრაზე. ვაი რომ, ყოველთვის როდია შესაძლებელი რაიმე დაავადების მკურნალობა, მაგრამ შესაძლებელია საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. კანის ფერი ხომ არა მარტო საკვებგადამუშავების სისტემის მუშაობაზეა დამოკიდებული, არამედ იმაზეც, თუ რა ხშირად ხართ სუფთა ჰაერზე. წონის სიჭარბე კი – ეს არა მხოლოდ შაქრის დიეტის, არამედ თქვენი მოძრაობითი აქტიურობის პრობლემაცაა.**

განცხადება

გვარის დალოცვის ერთ წლისთავთან დაკავშირებით დუნდუებისა და დონდუების გვარის წარმომადგენლებს, გთხოვთ, მობრძანდეთ სამების საკათედრო ტაძარში კვირას, 20 ნოემბერს, 14 საათზე.

დუნდუებისა და დონდუების საგვარეულო კავშირი

ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

**● XVIII საუკუნეში საფრანგეთში მიუღებელი იყო საზოგადოებაში ცხვირსახოცის გამოყენება. თუ პუბლიკა დაინახავდა სცენაზეც კი, მსახიობს უსტვენდა, სახელის ხსენებაც კი უხამსობად ითვლებოდა. მისი რეაბილიტაცია ჟოზეფინამ, ნაპოლეონის მეუღლემ შეძლო, რომელსაც ცუდი კბილები ჰქონდა.**

**● პირველად ცხოველთა სისტემებად დაჯგუფება არისტოტელემ მოახერხა თავის ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“. მან ისინი ორ ჯგუფად დაყო: ცხოველები სისხლით, სადაც პირველ ნომრად ადამიანი იყო ჩაწერილი, და უსისხლო ცხოველები.**

**● „ყველა, ვინც არ შევა პომპეუსის არმიაში, მისი მტერია“, – ეწერა პომპეუსის მანიფესტში; „ყველა, ვინც არ შევა პომპეუსის არმიაში, ჩემი მეგობარია“, – ეწერა კეისრის მანიფესტში.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

– თქვენს ადგილზე მე ახალი სამუშაოს ძებნას დავიწყებდი, –ეუბნება დირექტორი ხელქვეითს.
– თანახმა ვარ! გავცვალოთ ადგილები.

* * *

აბრამი მეზობელს თავის ახალ სახლს ათვალიერებინებს:
– აქ სასადილოა. ამ მაგიდას, ღმერთმა ნუ მოიყვანოს და, ერთდროულად შეიძლება ოცი ადამიანი შემოუსხდეს...



ჯონ როკფელერი ოცნებობდა, რომ 100 ათასი დოლარი გამოემუშავებინა და 100 წლამდე ეცხოვრა. სინამდვილეში კი გამოიმუშავა 318 მილიონი დოლარი და იცხოვრა 97 წელიწადი. ასეა, ადამიანს ყველა ოცნება როდი აუხდება ხოლმე.

* * *

საოპერაციო მაგიდაზე სიმამრი წევს და ქირურგს – თავის სიძესეუბნება:
– შვილო, რაც მთავარია, როდესაც ოპერაციას დაიწყებ, არ დაგავიწყდეს, რომ, თუ ჩემი ცოლი დაქვრივდა, იგი უთუოდ თქვენთან – შენთან და ჩემს ქალიშვილთან – გადმოვა საცხოვრებლად.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24